

ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ისტორიული ასპექტები

თამარ გოგოსაშვილი

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა დღესაც ის აუცილებელი წინაპირობაა, რომელიც ბევრად განსაზღვრავს ქვეყნის რეალურ დამოუკიდებლობასა და სიძლიერეს. “ვარდების რევოლუციის” შემდეგ საქართველო ღიად წარსდგა მსოფლიოს წინაშე, როგორც პრო-დასავლური ორიენტაციის ქვეყანა. ახალი ხელისუფლება პრეტენზიას აცხადებს საერთაშორისო ორგანიზაციებში გაერთიანებაზე, თუმცა ამ პროცესის ძირითადი შემაფერხებელი პრობლემა- ქვეყნის ორ რეგიონში- აფხაზეთსა და სამაჩაბლოში სეპარატისტული ხელისუფლების არსებობა, კვლავაც გადაუჭრელი რჩება.

რაც შეეხება აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს: ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ამ გაუთავებელი კონფლიქტისა ის არის, რომ ვერ იქნა და ვერ განისაზღვრა ვინ არიან აფხაზები, ქართველური ტომები თუ გადამთიელები, ჩვენი მოძმენი თუ მტრები. და მაინც, ვინ არიან აფხაზები?

ფიქრობენ, რომ აფხაზები ეთნიკურად ენათესავებიან მცირე აზიის უძველეს მკვიდრ მოსახლეობას ქაშქა-აბეშლას ტომებს, რომელთა შესახებ ცნობებს გვაწვდის ასურეთის მეფის ტიგლათფილესერ I წარწერები. (ძვ. წ. XII ს). სავარაუდოა, რომ ძველ ასურულ აბეშლას ენათესავებოდნენ გვიანდელი აფსილები, რომლებსაც პირველად იხსენიებს პლინიუსი I ს-ში. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შტრიხი, ძველი აფხაზური სატომო გაერთიანება პირველად იხსენიება ირიანეს “პერიპლუსში” (II ს).

აბაზგებისა და აფსილების, აგრეთვე აქაველების, სანიგებისა და შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს სხვა უძველესი მოსახლეობის ეთნიკური ელემენტების მეტ-ნაკლები მონაწილეობით VIII ს-თვის ძირითადად დასრულდა აფხაზი ხალხის ჩამოყალიბება. ამის შესაბამისად ისტორიულ წყაროებში თანდათან გაქრა ადგილობრივი ეთნონიმები და დამკვიდრდა ტერმინი “აფხაზები”. XIII ს-ის ქართულ მატრიანეში გვხვდება აფხაზების ადგილობრივი სახელიც –“აფსარნი”. [1]

დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე ტომები ადრე ეგრისის სამეფოში იყვნენ გაერთიანებულნი. VI ს. დამდეგიდან აბაზგები, რომლებიც აფშილების ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ, გადაუდგნენ ეგრისის მეფეს და თავი უშუალოდ ბიზანტიის ქვეშევრდომად გამოაცხადეს, ბიჭვინთასა და ცხუმში ბიზანტიელი მეციხოვნენი ჩადგნენ. თითქმის ამავე დროს მოხდა აფშილების განდგომაც. აფშილეთის მმართველმა, რომელიც გუბაზის უკმაყოფილო იყო, ირანელები შემოიყვანა. გუბაზმა ბიზანტიელთა რაზმი გაგზავნა აფშილების ქვეყანაში და აფშილებიც უბრძოლველად კვლავ ლაზთა მეფეს დაემორჩილნენ. [2] ანუ, ჯერ კიდევ მაშინ, როცა არ არის დასრულებული აფხაზი ხალხის ჩამოყალიბება, ჩნდება დაპირისპირება ქართველებსა და ქართული სამეფოს ტერიტორიაზე მოსახლე ტომებს შორის.

ერთერთი ადრინდელ-ფეოდალური ქართული სახელმწიფო, რომელსაც ეწოდებოდა ეგრის-აფხაზეთის სამეფო, VIII საუკუნის 80-90-იან წლებში წარმოიქმნა დასავლეთ საქართველოს გაერთიანების შედეგად.

დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში აფხაზმა ფეოდალებმა მთავარ ლეონ II მეთაურობით გადამწყვეტი როლი შეასრულეს. მათ ისარგებლეს ეგრისის მმართველი წრეების პროგრესული ნაწილის მხარდაჭერით და VIII საუკუნის ბოლოს ლეონ II გათავისუფლდა ბიზანტიის გავლენისაგან. მან მიიღო აფხაზეთის მეფის ტიტული.

ახალი სამეფოს ჩამოყალიბების საქმეში აფხაზთა სამთავროს წამყვანი როლის გამო სამეფოს ეწოდა აფხაზთა სამეფო. მისი ტერიტორია გადაჭიმული იყო ნიკოფსიიდან დაახლოებით ჭოროხამდე, აღმოსავლეთით კი, ლიხის ქედამდე. აფხაზეთის სამეფოს მოსახლეობის უმრავლესობა ქართველები (ქართვები, მეგრელები, სვანები) იყვნენ. მნიშვნელოვან წილს წარმოადგენდნენ აფხაზები და კავკასიის სხვა ხალხები. სახელმწიფო და მოსახლეობის დიდი ნაწილის სალაპარაკო ენა ქართული იყო. სამეფოს დედაქალაქი გახდა ქუთაისი _ დასავლეთ საქართველოს ცენტრი.[3]

ზოგიერთი რუსი მკვლევარი თვლის, რომ სწორედ აქ ქუთაისის საგანმანათლებლო კომპლექსში იზრდებოდნენ ქართული გავლენით, რომ აქ დაიბადა კოლონიზაციის იდეა და წარმოიქმნა პატარა ქართული კოლონია.[4]

აფხაზეთის სამეფოს არსებობის პერიოდში ფართოვდება ტერმინების “აფხაზეთი” და “აფხაზების” მნიშვნელობა. ამ ტერმინის ქვეშ იგულისხმება მთელი დასავლეთ საქართველო და მისი მოსახლეობა, თუმცა ტერმინი ეგრისი და ეგრისელები ისევ რჩება ხმარებაში. ამ დროიდან აფხაზეთის სამეფოს ტერიტორიაზე მიმდინარეობდა ქართლების, მეგრელებისა და სვანების კონსოლიდაცია. 978 წელს ადგილობრივმა აფხაზურმა დინასტიამ არსებობა შეწყვიტა და აფხაზეთის სამეფო ტახტზე აიყვანეს ბაგრატ III ბაგრატიონი, რომელიც დედის მხრიდან აფხაზთა მეფის შთამომავალი იყო. ეს არ იყო დინასტიის უბრალო შეცვლა, ტახტზე ავიდა მეფე, რომელსაც ლეგიტიმური უფლება ჰქონდა მთელ ქართლზე, აფხაზეთის მეფეები კი ამ ტახტზე “არაკანონიერ” მემკვიდრეებად ითვლებოდნენ.

საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის დროს, XV ს-ის II ნახევარში, აფხაზეთი ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროში შედიოდა. XVI საუკუნის ბოლოდან აფხაზმა ფეოდალებმა შარვაშიძეების მეთაურობით იწყეს განკერძოებისათვის ბრძოლა, რომელიც XVII საუკუნის დასაწყისში დამთავრდა აფხაზეთის დამოუკიდებელი სამთავროს შექმნით. აფხაზეთის სამთავროს სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი იყო მდინარე კოდორი. აფხაზი ფეოდალები სამთავროს საზღვრების გასაფართოებლად ებრძოდნენ დადიანებს, ცდილობდნენ დაპატრონებოდნენ სამეგრელო მიწა-წყალს. მდინარე კოდორის მარცხენა ნაპირზე ბრძოლა ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. ბოლოს, XVII საუკუნის მიწურულს, შარვაშიძეებმა სამთავროს სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი მდინარე ენგურამდე გადაწიეს.

XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე მთავარ ზეგნაყრ შარვაშიძის შვილებმა აფხაზეთი ერთმანეთში დაინაწილეს. ფორმალურად აფხაზეთი იმერეთის სამეფოში შედიოდა. აფხაზეთის სამთავრო იყოფოდა რამდენიმე ოლქად: ბზიფი, სამნი, გუმა, აბჟუა, სამურზაყანო და წაბალდალი, რომელთა სათავეშიც იდგნენ აჩბა (იგივე ანჩაბამე), ემხაა (იგივე ემხვარი) და ა.შ.[5]

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ თავად აფხაზეთის სამთავროს ამ ოლქებს არა აფხაზები, არამედ გააფხაზებული მეგრელები და ქართლები ედგნენ სათავეში.

დასავლეთ საქართველოში XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის დამდეგს მეტად რთული პოლიტიკური ვითარება წარმოიშვა. სამეგრელოს, გურიის,

აფხაზეთისა და სვანეთის სამთავროები პოლიტიკური დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფოდნენ და შეუპოვრად ებრძოდნენ იმერეთის მეფეს. გარდა ამისა, დასავლეთ საქართველოს სამთავროები განუწყვეტლივ უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს სადავო ტერიტორიების გამო.

რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის დაპყრობის დროს იმერეთის მეფეს სოლომონ II სამეგრელოს მთავარ გრიგოლ დადიანთან ომი ჰქონდა გაჩაღებული. დადიანი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, რადგან სამთავროში არეულობა დაიწყო. იგი შექმნილი ვითარებიდან გამოსავალს რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში ხედავდა და 1803 წელს იმპერატორის ერთგულების ფიცი დადო. სამეგრელოს მთავარს სამთავროს მემკვიდრეობითი მფლობელობა უმტკიცდებოდა, მაგრამ რუსეთის ხელისუფლების მიერ სამეგრელოს სამთავროში გაგზავნილ მოხელეს მთავარი უყოყმანოდ უნდა დამორჩილებოდა.

სამეგრელოს სამთავროს რუსეთის მმართველობაში შესვლის შემდეგ სოლომონ II მდგომარეობა გართულდა. იმერეთის სამეფოს დასავლეთიდანაც მოადგა რუსეთის ჯარი.

ამ დროისათვის თურქეთს მტკიცედ ჰქონდა ფეხი მოკიდებული აფხაზეთში. სოხუმში თურქეთის ჯარი იდგა, აფხაზეთის მთავარი იყო გამაჰმადიანებული ქელემ-ბეგ შარვაშიძე. აქ თანდათან გავრცელდა მაჰმადიანობა. მას შემდეგ, რაც რუსეთმა მნიშვნელოვნად განიმტკიცა პოზიციები დასავლეთ საქართველოში, ქელემ-ბეგმა აშკარა თურქულ ორიენტაციაზე უარი თქვა. აფხაზეთში ვითარება განსაკუთრებით დაიძაბა რუსეთ-თურქეთის ომის დაწყების შემდეგ 1806-1808წწ. თურქებისაგან წაქეზებულმა ასლან-ბეგმა მამა ქელემ-ბეგი მოაკვლევინა და თავი აფხაზეთის მთავრად გამოაცხადა.[6]

საფარ-ბეგი (იგივე გიორგი) შარვაშიძე სამეგრელოში გაიქცა და 1809 წ. ხელი მოაწერა ე.წ. “სათხოვრის პუნქტებს”, სადაც გამოთქვამდა რუსეთის მეფის ქვეშევრდომობისა და მის სამსახურში ჩადგომის სურვილს. 1810წ. რუსეთის ჯარმა იერიშით აიღო ცხუმ-კალეს სიმაგრე. 1864წ. რუსეთმა დასავლეთ კავკასიის დაპყრობა დაამთავრა და აფხაზეთის სამთავროს ბედიც გადაწყდა. ამ წელს აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი მიხეილ შარვაშიძე გადაყენებულად გამოცხადდა და აფხაზეთში ე.წ. “სამხედრო-სახალხო

მმართველობა” იქნა შემოღებული.[7] რუსეთის ხელისუფლებამ სამთავროს გაუქმება “სახელმწიფო აუცილებლობად” ჩათვალა. 1864წ. ივნისში ოფიციალურად გამოცხადდა სამთავროს გაუქმება და აფხაზეთს ეწოდა “სოხუმის სამხარეო განყოფილება”, 1883 წლიდან კი “სოხუმის ოლქი”.[8]

1864წ. აფხაზების თურქეთში გადასახლებას ზოგიერთი რუსი მკვლევარი იმით ხსნის, თითქოს აფხაზები ქართველებმა შეავიწროვეს, აფხაზეთის ტერიტორიაზე მიწები საჩუქრად დაურიგეს მეგრელებს, იმერლებს, ქართლებს, აგრეთვე ბულგარელებსა და გერმანელებს იმ იმედით, რომ აფხაზები აღარასდროს დაბრუნდებოდნენ თავიანთ ტერიტორიაზე. ამ მოსაზრების არგუმენტად ისინი იყენებენ 1883 წელს გაზეთ “დროებაში” გამოქვეყნებულ გიორგი წერეთლის წერილს. “რატომ ვერ მიხდვენ აფხაზები, რომ კავკასია მთელი ჩვენი ქვეყანაა.”[9] თუმცა აფხაზების გადასახლების ძირითადი მიზეზი ეს არ ყოფილა. რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ აფხაზეთში მუჰაჯირობა დაიწყო. მუჰაჯირების პირველმა ტალღამ აფხაზეთი დატოვა და თურქეთში გადასახლდა ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში. რუსეთ-თურქეთის ომში თურქეთის დამარცხების შემდეგ კი აფხაზეთი 30 ათასმა კაცმა დატოვა.

საქართველოს მთლიანობის აღდგენის მცდელობისას აფხაზეთი ყოველთვის პრობლემას წარმოადგენდა. ჩვენი ქვეყნის ისტორიული ტერიტორიის ხელყოფა დაიწყო ჯერ კიდევ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე. აფხაზეთში სეპარატისტულ ხელისუფლებას აქეზებდა და მხარს უჭერდა როგორც საბჭოთა რუსეთი, ასევე თურქეთი. 1918 წლის მარტში გააქტიურდნენ აფხაზი ბოლშევიკები. მათ მოითხოვეს აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება და რუსეთთან შეერთება. აფხაზეთში საბჭოთა რუსეთიდან შევიდა კაზაკთა წითელი რაზმი. კაზაკებმა დაამარცხეს ქართული ჯარის ნაწილები და სოხუმი დაიკავეს. 1918 წლის მაისში საქართველოს სახალხო გვარდიამ სამურზაყანოდან (ოჩამჩირის რაიონი) სოხუმს შეუტია და აფხაზები და მათ დასახმარებლად მოსული თურქეთის დესანტი დაამარცხა. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ცდილობდა, აფხაზეთის საკითხი სისხლისღვრის გარეშე მოეგვარებინა. 1918 წლის ივნისში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც აფხაზეთის ავტონომიური თვითმმართველობის ფუნქცია ეკისრებოდა სახალხო საბჭოს. აფხაზეთის სახელმწიფოებრივ სტატუსს განსაზღვრავდა აფხაზეთის სახალხო ყრილობა. აფხაზი სეპარატისტებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა 1918 წლის ივნისის შეთანხმება. სახალხო საბჭოს ლიდერებმა აფხაზეთის სრული დამოუკიდებლობის მოპოვება გადაწყვიტეს. ამდენად, აფხაზეთის საკითხის მშვიდობიანი გზით მოგვარება შეუძლებელი გახდა. საომარი მოქმედებები განახლდა. ქართულმა ჯარმა და სახალხო გვარდიამ 1918 წლის ივნის-ივლისში კაზაკთა წითელი რაზმი და აფხაზ სეპარატისტთა ძალები დაამარცხა, დაიკავა სოხუმი და გაგრა.

1919წ. არჩეულ იქნა აფხაზთა სახალხო საბჭო, რომელმაც ამავე წლის მარტში მიიღო აქტი საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის ავტონომიის შესახებ, რომელიც

დაამტკიცა საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ. აფხაზეთს ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობის უფლება მიანიჭა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციამ.[10]

1918-21წლებში აფხაზეთში განვითარებულ მონვლენებს სხვაგვარად აფასებს ბრიტანელი მკვლევარი ბეხოვერი: “1921 წლის საქართველო ჩემს მეხსიერებაში დარჩება, როგორც “მცირე ნაციონალისტი”, რომელიც გამოიხატება შიდა პოლიტიკურ დაპყრობებში და შოვინიზმში”. [11]

საქართველოს გასაბჭოებასთან ერთად, რა საკვირველია, აფხაზეთიც რუსული მმართველობის სფეროდ იქცა.

როგორც ვხედავთ, ქართულ-აფხაზური კონფლიქტი მას შემდეგ არსებობს, რაც ისტორიაში გაჩნდა ტერმინი “აფხაზი” და “აფხაზეთი”. ჩემი აზრით, აფხაზები ანუ “აფსუები” არანაირად არ არიან ქართველური ტომები: ტერიტორია, რომელზეც ისინი ცხოვრობენ უწინ ეგრისის სამეფოში შედიოდა, შესაბამისად ქართულ მხარეს გააჩნდა პრეტენზიები შავიზღვისპირა ტერიტორიის მესაკუთრეობაზე. “აფსუების” არაერთგზის ცდა დაფიქსირებულიყვნენ, როგორც დამოუკიდებელნი, ყოველთვის მარცხით მთავრდებოდა და ეს შეიძლება აიხსნას შემდეგით: ქართველები, რა თქმა უნდა, ცდილობდნენ დაეკავებინათ აფხაზეთი. იქ ქართლებს, მეგრელებს, იმერლებს, სვანების ჩასახლება მყარი გარანტი იქნებოდა ტერიტორიის შენარჩუნებისა.

აქვე, მოკლედ მაინც უნდა შევეხოთ სომხების აფხაზეთში ჩამოსახლების საკითხს. სომხები საუკუნეების მანძილზე ცდილობდნენ მიზანმიმართული და სტრატეგიული გეგმის განხორციელებას. სომხეთი გეოგრაფიულად იზოლირებული და მაჰმადიანური სამყაროს მეზობელი ქვეყანაა. ამიტომ ისინი იძულებულნი არიან მოძებნონ რუსეთთან დამაკავშირებელი გზა. ამასთან, ზღვაზე გასასვლელი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია.

ცნობილი ფაქტია, რომ პატრიარქ-კათალიკოსი ყოველთა სომეხთა ვაზგენ I 1500 რუბლს აძლევდა ყველა იმ სომხურ ოჯახს, რომელიც აფხაზეთის ზღვისპირეთში დასახლდებოდა. დასახლებული თანხა იმ დროისთვის სოლიდურ ფინანსურ დახმარებას წარმოადგენდა.

სომხების პრეტენზია საქართველოს ტერიტორიაზე ყოველთვის აშკარა იყო. ისინი ცდილობდნენ დასავლეთის ქვეყნებისათვის შეექმნათ აზრი იმის შესახებ, რომ “თბილისი სომხური ქალაქია”, ილია ჭავჭავაძე წერს: “სომხების მწიგნობარნი მაინც თავისას იძახიან და ბინას იკეთებენ იქ, საცა არა ჰქონიათ. განა აშკარა არ არის, რომ ამ ცულლუტურ მეცნიერობით სწადიანთ ქვეყანა დააჯერონ, ვითომც ისტორიული უფლება მიუძღვით ამ ადგილებში ბინის დადებისა”. [12]

აფხაზეთის ტერიტორიის ათვისება სომხებისთვის მეტად ხელსაყრელია და მათთვის სტრატეგიული მნიშვნელობის ამოცანას წარმოადგენს.

რაც შეეხება რუსეთის დამოკიდებულებას _ აფხაზეთი მათთვის არის ის ბერკეტი, რომლითაც შეუძლია საქართველოზე პოლიტიკური ზეწოლა მოახდინოს, მითუმეტეს დღევანდელ პირობებში, როცა რუსეთი გაღიზიანებულია ჩვენი ქვეყნის პრო-დასავლური ორიენტაციით.

ჩემი აზრით აფხაზები ვერასდროს ვერ იქნებიან დამოუკიდებლები, მათი ყოველი ნაბიჯი დამოუკიდებლობისაკენ მარცხით დასრულდება. აფხაზეთი არის ტერიტორია, რომლისთვის ბრძოლაშიც დაპირისპირებულ მხარეებს კონკრეტული მიზნები ამოძრავებთ. ქართული მხარის პრეტენზიები აფხაზეთთან მიმართებაში გამართლებულია იმით, რომ ეს ტერიტორია საუკუნეების მანძილზე საქართველოს სამეფოს ეკუთვნოდა, მეორეც _ აქ მცხოვრები მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ქართველია.

[1] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. II ტომი, თბილისი 1977. გვ.-29

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. II ტომი, თბილისი 1973. გვ.-258

[3] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. II ტომი. თბილისი 1977წ. გვ.-32-33

[4] [www. istoria.ge/regionebi](http://www.istoria.ge/regionebi)

[5] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. II ტომი. თბილისი 1977წ. გვ.-31-33

[6] საქართველოს ისტორია (XIX-XXსს.) © მ. ვაჩნაძე, ვ. გურული. თბილისი 2002 წ.გვ. 4-6

[7] საქართველოს ისტორია (XIX-XXსს.) © მ. ვაჩნაძე, ვ. გურული. თბილისი 2002 წ.გვ. 41

[8] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. II ტომი. თბილისი 1977წ. გვ.-32

[9] www. istoria.ge/regionebi

[10] საქართველოს ისტორია (XIX-XXსს.) © მ. ვაჩნაძე, ვ. გურული. თბილისი 2002 წ.გვ. 111-112

[11] www. istoria.ge/regionebi

[12] ილია ჭავჭავაძე. რჩეული ნაწარმოებები. 5ტომი. “ქვათა ღაღადი”. თბილისი 1987.გვ.

მეგრელთა გააფხაზება

სოფიო ფოჩხუა

დიდი ილია ბრძანებდა: “ერის დაცემა და განადგურება მაშინ იწყება, როცა ერი თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს.”

ცნობილია, რომ ესა თუ ის მთლიანობა ორგვარია ხოლმე – ორგანული და არაორგანული. ორგანული მთლიანობა წინ უსწრებს მის შემადგენელ ნაწილებს, განსაზღვრავს ნაწილთა რაოდენობას, მათ ბუნებას, და არა ნაწილები – მთელს. ერი, ქვეყანა ორგანული მთლიანობაა, ე.ი. თავდაპირველად რაჭა, იმერეთი, სამეგრელო, ქართლი, კახეთი და სხვანი კი არ არსებობენ, არამედ ჯერ არსებობს მთლიანობა – ერთიანი საქართველო და შემდეგ – რაჭველი, იმერელი, მეგრელი, გურული და ა.შ.

დღეს საქართველოში რატომღაც ბევრს საუბრობენ კუთხეობაზე. ზოგს ეს ეროვნულ, ქართულ ფენომენად მიაჩნია, ზოგს კი – სეპარატიზმად. საქართველოს კუთხეებად, ტომებად დაშლის იდეა დიდი ხნის წინათ ჩაისახა. ამ იმედით მომარჯვებული გამთიშველები გარშემო გვივლიდნენ და ყოველ ღონეს ხმარობდნენ მიზნის მისაღწევად. ქართველი ოღონდ ბურჯად არ დარჩენილიყო და რა არგუმენტს არ იყენებდნენ: ტომობრივი ნიშნების განსხვავებულობას, დიალექტების ნაირგვარობას, რელიგიას და ა.შ.

სამეგრელოს წინააღმდეგ მებრძოლ ერთ-ერთ ძლიერ ძალას რუსეთის იმპერია წარმოადგენდა. “ქართველი ერის დაქუცმაცება” – სწორედ ამ მიზანს ისახავს ლენინგრადელი ი. ზეიძალი, ისტორიულ-მეცნიერებათა დოქტორი, თავის სტატიაში “რაზე მეტყველებენ ციფრები” – ვინმე გერცენშტეინმა თავის მიერ შედგენილ და გამოცემულ კალენდარში ჩვენი ეროვნების ერთობა და მთლიანობა ძირფესვიანად გაანადგურა და შეცვალა.

“ქართველი ერის შტოები ცალკე ხეებად გადაუქცევია, თემები – ცალკე ხალხებად და ერთი ეროვნული სხეული თორმეტ-ცამეტ პატარა სხეულად მოუჩვენებია. ქართველები ამდენნი არიანო, მეგრელები ამდენნი, თუშები ამდენნი, ხევსურები ამდენნიო. უყურეთ, რამდენი ნაცია აღმოუჩენია ქართველებში” – ამბობს საპასუხო სტატიაში ი. გოგებაშვილი. ზეიძალი კი აცხადებს: “განა ყველაზე მცირე ეროვნებები არ იმსახურებენ არსებობის უფლებას, მით უფრო, თუ მშობლიური ენით სარგებლობენ?”

რუსეთმა ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში გადადგა პირველი ნაბიჯი მიზნის მისაღწევად. რაკილა აფხაზეთის საქართველოსაგან ჩამოშორება და მიტაცება ჰქონდა განზრახული, საჭიროდ მიაჩნდა, პირველ რიგში, სამეგრელო დაეთრგუნა. რადგან გრძნობდა, რომ სამეგრელო საქართველოს ნაწილებად დაქუცმაცებას იოლად არ დაანებებდა, არ დათმობდა. ასეთ ვითარებაში მკაფიოდ განისაზღვრა რუსეთის პოლიტიკა დასავლეთ საქართველოში: მაშინ, როდესაც ქართლ-კახეთში მეფის

ხელისუფლება გაუქმდა და იქ რუსული მმართველობა დამყარდა, საქართველოში პოლიტიკური სიტუაცია ერთიანად შეიცვალა. სახელმწიფოებრივი ერთეულების პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალი ხანა დაიწყო. ყველა თავისებურად ეხმაურებოდა ამ მოვლენას. ზოგი საომრად ემზადებოდა, ზოგი რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის გაბმით თუ სამფარველო ტრაქტატის მიღების გზით ცდილობდა თავის გადარჩენას.

იმერეთის მეფე სოლომონი ქართლ-კახეთში ბაგრატიონთა ხელისუფლების აღდგენისათვის იბრძოდა და რუსეთთან ურთიერთობაში საქართველოს მეფის პრეტენზიებით გამოდიოდა. ამ დროს მნიშვნელოვანი იყო სამეგრელოს მთავრის მხარდაჭერა მისთვის. რუსეთი კი ვერ შეურიგდებოდა ისეთი დამოუკიდებელი მეფის ხელისუფლების არსებობას დასავლეთ საქართველოში, რომელიც ქართულ-ლი სახელმწიფოებრივი ცხოვრების დაცვა-აღდგენისათვის იბრძოლებდა. ამიტომ თვითმპყრობელური იმპერია ხელს უწყვიდა საქართველოს პოლიტიკური დაშლით და ინტერესებულ ძალებს, იმ ძალებს, რომელთაც დამოუკიდებელი არსებობა სურდათ. “სამეგრელოს სამთავრო რუსეთის სამთავროს შეუერთდა საშინაო თვითმმართველობის შენარჩუნების საფუძველზე” – წერს ივ. ჯავახიშვილი, თუმცა ეს იყო მხოლოდ შეზღუდული თვითმმართველობა. მაგრამ დადიანი თავის მემკვიდრეობაში სამთავრო ხელისუფლების შენარჩუნების გარანტიას ღებულობდა და, რაც მთავარია, მომავალში “თავს დაიცავდა” სოლომონ მეფის “შემოტყევებისაგან”. ის კმაყოფილი იყო იმით, რომ რუსეთის დახმარებით თავისი ხელისუფლება სრული გაქრობისაგან იხსნა და სოლომონ მეფის რისხვას გადაურჩა.

ჩვენი უბედურება კი ჩვენივე გათიშულობაა. განდგომილებმა ხმამაღლა განაცხადეს: ”ქართველები უნდა გავარჩიოთ ჩვენს სახელმწიფოში მცხოვრები კიდევ ერთი ერისაგან კოლხ-ეგრისელ-ლაზ-მეგრელებისაგან. ამ ხალხს ისტორიულად თურმე სრულიად დამოუკიდებელი ისტორია, თვითშეგნება, კულტურა და ცივილიზაცია შეუქმნია. მეგრული ენა კი ძირითად ქართულს კი არ გამოეყო, როგორც ეს დღემდე ეგონა ენათმეცნიერებს, არამედ შემდეგ დაუახლოვდა ქართულ ენას ხანგრძლივი მეზობლობის გამო. საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა ორი ქვეყანა, ორი კულტურა, ორი ერი” – ამბობს დილარ ილარდავა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი თავის სტატიაში “აია-კოლხეთი-ლაზიკა-სამეგრელო საქართველოს უსახელო და უენო პროვინცია?!” – და ქართველების ისტორიას სრულიად თავდაყირა აყენებს, ქმნის ანტიქართულ, ანტიეროვნულ კონცეფციას. ამ კონცეფციის მიხედვით “დედით სპარსელმა” მეფე ფარნავაზმა პატარ-პატარა საგვარეულო ხევების შეერთებით შექმნა ქართლის სახელმწიფო და მანვე “დაიპყრო კოლხეთიც”.

ფარნავაზის მოღვაწეობის შესახებ ცნობას გვაწვდის მეთერთმეტე საუკუნის მემკვიდრე ლეონტი მროველი. მეფე ფარნავაზმა პირველი გაერთიანებული სახელმწიფო რომ შექმნა, ქუჯიმ ამ სახელმწიფოს ნებაყოფლობით შეუერთა თავისი საგანმგებლო კოლხეთი, როგორც ერთიანი საქართველოს ორგანული ნაწილი, ღვიძლი კუთხე, სისხლისმიერი ძმა. მროველი არსად არ ახსენებს ქართლოსანთა მიერ ეგრისის “დაპყრობის” ფაქტს. პირიქით, ქუჯი აღფრთოვანებულია იმიერ და ამიერ ქართველთა

ერთიანობით და ფარნავაზს ამცნობს:”ვიდრე გამოჩნდეთ მტერად აზონისა, მაშინ განიხარონ ყოველთა ქართველთა”.მაშ, ძველთაგანვე, ეგრისელთა კრედო ქართველთა ერთობა ყოფილა და ქუჯისათვის დასავლელ-ეგრისელნი და აღმოსავლელ-იბერიელნი ერთად _ ”ყოველნი ქართველნი”.

არის ერთი დეტალი, მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელშიც ნაჩვენებია, რომ სოციალური ფენომენი გამოდიოდა ეთნიკური ფენომენის მჩაგვრელად. გასულ საუკუნეში აფხაზეტში მცხოვრები მეგრელების მასიური გააფხაზება ხდებოდა. ისმის კითხვა:რის გამო?იძულებითი იყო ეს პროცესი თუ ნებაყოფლობითი; ან საერთოდ, რა იმალეა ყოველივე ამის უკან?

ქართველთა აფხაზეტში ცხოვრების შესახებ მოგვითხრობს ქართული თუ უცხოური წყაროები. მათ შორის ვხვდებით აფხაზ მეცნიერთა მიერ დამუშავებულ თემებსაც. მათი ნაშრომებიდან ჩანს, რომ აფხაზეტის მოსახლეობის ერთ და თანაც მნიშვნელოვან ნაწილს ქართველები შეადგენდნენ. აქვე უნდა ითქვას, რომ ძველი აფხაზეტის თავადაზნაურობის უმეტესობას, ხოლო სამღვდელოებას გამონაკლისის გარეშე, ქართული ეროვნული თვითშემეცნება ჰქონდა და თავის თავს ქართველად მიიჩნევდა (ამის დასტურია გიორგი შერვაშიძის ავტობიოგრაფიული თხზულებები, აფხაზეტის კათალიკოსებისა და ეპისკოპოსების მიერ დატოვებული საბუთები და ცნობები).

XVII საუკუნის შემდეგ აფხაზეტში გლეხობა სამ უმთავრეს კატეგორიად იყოფოდა - ანხაიუ, ახოიუ და ახაშვალა. ამათგან ორს - ანხაიუს და ახაშვალას კატეგორიის გლეხებს სხვა სახელებიც ჰქონდათ - “აგირუა”, რაც აფხაზურად მეგრელს ნიშნავს. ისინი ყმა-გლეხების ერთ უმთავრეს კატეგორიად, სოციალურად ყველაზე დაბალ საფეხურზე მდგომ, თუმცა კი მრავალრიცხოვან ფენად მიიჩნეოდნენ.

XVIII საუკუნიდან აფხაზურ საზოგადოებაში დაბალი ფენის წარმომადგენლებს შეეძლოთ სოციალური კიბის უფრო მაღალ საფეხურზე ასვლა. სოციალური კიბის ერთი საფეხურიდან მეორე, უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლა ფაქტიურად ერთი ეთნიკური წარმოშობის ადამიანების სხვა ეთნო ჯგუფში გადასვლას წარმოადგენდა. კერძოდ, აფხაზეტში ამ სოციალური საშუალებით ქართველების ანუ აგიურების გააფხაზება ანუ აფხაზეტის საზოგადოების სრულუფლებიან წევრად გადაქცევა ხდებოდა, რადგანაც ამ ქვეყანაში აგიურობა სათაკილო იყო, როგორც საზოგადოების ყველაზე დაბალ საფეხურზე მდგომი, აფსუობა კი - სასახელო. აქ მხოლოდ თავისუფალ და სრულუფლებიან ადამიანს ეწოდებოდა აფსუა. ყველა აგირუას კი ანუ დაბალი კასტის წარმომადგენელს, უფლებათა მოპოვება ანუ საზოგადოების უფრო მაღალ საფეხურზე ასვლა სურდა.

აგიურების ანუ მეგრელების გააფხაზება ძველთაგანვე მასიური მოვლენა ყოფილა.ისეთი ცნობილი გააფხაზებული გვარების წინაპრები, როგორებიც არიან კოლონიები, კვიწინიები, ლაბახუები, ფაჩალიები,ლახურიები და სხვები, ამჟამად აფხაზეტის საზღვრებში მოქცეული ოდიშის მკვიდრი მოსახლეობა იყო, რომლებიც ჩრდილო კავკასიელმა აფსუებმა XVIIIსაუკუნის შემდეგ ჯერ თავიანთ ყმებად აქციეს, ხოლო შემდეგ გააფსუეს. აფხაზეტის აბორიგენი მოსახლეობის - მეგრელების გააფხაზებამ

თავისი კვალი დაამჩნია აფხაზურ ენასაც - მას გადაჭარბებული მეგრელიზმები ე.ი. მეგრული წარმოშობის სიტყვების სიმრავლე ახასიათებს.

“სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ზოგიერთი ქართველი მეცნიერი დღესაც ისეა ბოლშევიკურ ქურაში გამომცხვარი, ცრუ აფსურული იდეოლოგიით დაკომპლექსებული, რომ აბორიგენი, ქართული გვარის მატარებელი აფხაზებიც ადიდელებად წარმოუდგენია” - ამბობს მწერალი და ჟურნალისტი ციალა არდამელია, - “ჭკადუა და არძინბა, მარღანია და კუტარბა, მარშანია და წვიშბა რომ ერთი ეთნოსის კუთვნილებას არ წარმოადგენენ, ამის გაგება არ შეუძლიათ. არ შეუძლიათ ან არ სურთ იმის გაგებაც, რომ “აფსუა” ჩრდილო კავკასიელია თავისი წარმოშობით, ხოლო “აფხაზი” კი ადგილობრივი, აბორიგენი.

რაც შეეხება XIX საუკუნეში მეგრელთა გააფხაზების საკითხს, ეს გამოწვეული იყო იმით, რომ აფხაზები იმ დროისათვის გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდნენ: 1828-29 წლებში, რუსეთ-თურქეთის ომის მიმდინარეობის პროცესში აფხაზი მეომრებისადმი ნდობის მომენტი ნულის ტოლფასი იყო. მათი მხრიდან აღინიშნებოდა ღალატის უამრავი ფაქტი. ამიტომაც ისინი თავისუფლდებოდნენ სამხედრო სამსახურიდან. გარდა ამისა, მათთვის უფასო იყო სწავლა, უფამოცდოდ ირიცხებოდნენ უნივერსიტეტებში და ა.შ. აქ ისევ რუსიფიკატორული პოლიტიკა ტარდებოდა - ქართველები იცხოვრებდნენ თავიანთ სამშობლოში, ილაპარაკებდნენ მშობლიურ ენაზე, ამავე დროს ექნებოდათ გარკვეული შეღავათები - ყოველივე ეს, სამწუხაროდ, საკმარისი იყო, მათ არ ეფიქრათ შედეგზე, მიდიოდნენ კომპრომისებზე და აფხაზდებოდნენ.

“ერის დანაწილება, პატარ-პატარა ლუკმებად გადაქცევა, დაქუცმაცება საუკეთესო ხერხს შეადგენს ამ ერის დასუსტებისა, დაქვეითებისა და მიწასთან გასწორებისათვის”. სამეგრელოს ჩამოშორება საქართველოს მიწა-წყლისაგან იქნება არა მარტო უზარმაზარი ტერიტორიის დაკარგვა, არამედ დაკარგვა საკუთარი სისხლისა და ხორცისა, აღმოფხვრა დიდი სულიერებისა, ქვეყნის წარსულისა, ისტორიისა.

ამიტომაც, ყოველ ქართველ კაცს მართებს კარგად გააცნობიეროს შემდეგი: დღევანდელ მსოფლიოში, ზოგიერთი ველური ან ნახევრად ველური ტომის გარდა, ყოველი ერი თავის მიერ შექმნილ კულტურას ემყარება, ამ კულტურაში პოვებს თავის სიძლიერისა და თვითმპყრობელობის ჭეშმარიტ საფუძველს, თავისი მოვალეობის უპირველეს მახასიათებელს. ხოლო მეგრელი კაცისათვის, ისევე როგორც კახელისათვის, რაჭველისათვის, ქართლელისათვის თუ იმერლისათვის უპირველესი განმსაზღვრელი საკაცობრიო მნიშვნელობის მქონე ზოგად-ქართული პრობლემაა, რომლის გადაჭრის საქმეშიც ყოველი მეგრელი ისევე მონაწილეობდა, როგორც ნებისმიერი ტომის სხვა წარმომადგენელი.

აფხაზეთის ომი (1992-1993)

ქეთევან აფციაური

“მთავარ მიმართულებად საქართველოს სახელმწიფოებრიობის შესასუსტებლად, მიმჩნია აფხაზეთის საბოლოო ჩამოშორება საქართველოსგან. რუსეთის საზღვრის გადაწევა საქართველოს სიღრმეში, რაც ამავე დროს მოგვცემს საშუალებას დავეკატრონოთ ამ ქვეყნის ბუნებრივ რესურსებს”_წერდა რუსეთის სამხედრო ატაშე ვ. სიტინი 1922 წლის პატაკში.

სამოცდაათი წლის შემდეგ, 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო აფხაზეთის ომი. საამისო ნიადაგი აფხაზმა სეპარატისტებმა რუსებთან ერთად მოამზადეს; მათ დაიწყეს დეზინფორმაციების გავრცელება _ საქართველოსა და აფხაზეთის ყოველგვარი საერთო ისტორიული წარსულის არქონის შესახებ. “რუსეთს, საერთოდ კავკასიაში და კერძოდ, საქართველოში ერთი მიზანი ჰქონდა _ მოსახლეობის მთლიანი გარუსება. ამ ამოცანის შესასრულებლად აუცილებელი იყო ქართული ეროვნული სახელმწიფოს დაქუცმაცება, ერთიანი ეროვნული შეგნების მოშლა. ბუნებრივია, ნაჭერ-ნაჭერ დაყოფილი საქართველოს გარუსება უფრო იოლი იყო. ამ მიზნის განხორციელებას რუსეთი იქ შეუდგა, სადაც ყველაზე სუსტი ადგილი იპოვა. წარსული ისტორიული პირობების გამო, ეს სუსტი ადგილი, სწორედ აფხაზეთი აღმოჩნდა”. _ წერდა აკ. ბაქრაძე 1978 წელს წერილში “აფხაზთა საკითხი”.

დღის წესრიგში აფხაზური დამწერლობის შექმნის საკითხი დადგა. ეს ხელს შეუწყობდა რუსული ენის შესწავლის გაადვილებას, პარალელურად შეასუსტებდა ქართული ენის მოთხოვნილებას ეკლესიაებსა და სკოლებში, შედეგად გაადვილდებოდა აფხაზეთში რუსული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადება.

აფხაზი ხალხის ცხოვრებაში ძირეული ცვლილებები 1864-1921წ. მოხდა. ესენია:

1. აფხაზთა გარკვეული ნაწილის თურქეთში გადასახლება და მათი გათურქება.
2. აფხაზთა მეორე ნაწილის შინ დარჩენა, მაგრამ რუსების პოლიტიკის წყალობით მათი ქართული სამყაროდან რუსულ, ეროვნულ სამყაროში გადასვლა.

ამასთან დაკავშირებით აკ. ბაქრაძე წერდა: “აფხაზები მოექცნენ უმძიმეს პირობებში ტერიტორიით, ისტორიით, წარსულით, ზნე-ჩვეულებებით, ტრადიციით. ისინი დარჩნენ ქართული გარემოთი გარშემორტყმულნი, მათი სული კი, გადასახლდა რუსულ გარემოში, რადგან აფხაზისათვის განათლების, კულტურის, მწიგნობრობის ენა გახდა რუსული”.

მნიშვნელოვნია 1965 წელს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მიერ გაცემული წიგნი “Население земного шара”, რომელიც აფხაზეთის ასსრ-ში მცხოვრები ეთნოჯგუფების საერთო რაოდენობის სტატისტიკურ მონაცემებს აქვეყნებდა. აფხაზეთის ასსრ-ში ცხოვრობდა:

ქართველი _ 158,2 ათასი
რუსი _ 86,7 ათასი
სომეხი _ 64,4 ათასი
აფხაზი _ 61,2 ათასი

ამგვარად, აფხაზებს მოსახლეობის საერთო რაოდენობის მიხედვით მეოთხე ადგილი უჭირავთ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აფხაზეთის ასსრ-ში შემავალ თითოეულ რაიონშიც აფხაზების რაოდენობა გაცილებით მცირე იყო, ვიდრე სხვა რომელიმე ეთნიკური ჯგუფისა. ერთადერთი რაიონი, სადაც ქართველებს აფხაზები სჭარბობდნენ გუდაუთის რაიონია. (აფხაზი _ 47,1%, ქართველი _ 11,6%, სულ _ 61,1%, დანარჩენი _ რუსი, ბერძენი, სომეხი და ა.შ.)

1978 წელს საბჭოთა კავშირის პარტიულმა ხელმძღვანელობამ გამოთქვა სურვილი საქართველოს კონსტიტუციიდან ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის ამოღების შესახებ. ამავე დროს, სოხუმში დაიწყო სეპარატისტთა საპროტესტო გამოსვლები. “ექვგარემე იყო, რომ აღნიშნული პროცესები იმართებოდა კრემლიდან, რომლის მიზანსაც შეადგენდა საქართველოს ეროვნული ძალების ყურადღების მიპყრობა აფხაზეთის არეულობისაკენ, ხოლო ამის პარალელურად, მარავალსაუკუნოვანი ქართული ენის მომავლისათვის წერტილის დასმა”. _ წერდა თ. ნადარეიშვილი წიგნში “შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ”.

აღნიშნული მცდელობა აღიკვეთა ქართველების მიერ მრავალათასიანი საპროტესტო მანიფესტაციებით.

მოვლენები უარესობისკენ ნელ-ნელა, ეტაპობრივად ვითარდებოდა. საქართველს ხელისუფლება კი, მაქსიმალურ კომპრომისებზე მიდიოდა, რაც განპირობებული იყო სიტუაციის არ გამწვავების სურვილით, რათა ქართულ პარტიულ ნომენკლატურასა და ჩინოვნიკებს საკუთარი პრიორიტეტები შეენარჩუნებინათ. რესპუბლიკის ცენტრალური ხელმძღვანელობის ძალისხმევით გაიხსნა აფხაზეთის უნივერსიტეტი, აფხაზური ტელევიზია, მაგრამ სეპარატისტებმა უნივერსიტეტი და ტელევიზია აფხაზეთის ისტორიის, ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტთან ერთად საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული სეპარატისტული პოლიტიკის კერად აქციეს. აფხაზურენოვანი ტელევიზია ქართველების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურ საშუალებად იქცა.

“უნივერსიტეტიდან ქართველი პროფესორ-მასწავლებლები გამოაძევეს. ადრე ერთიანი ქართულ-აფხაზური თეატრიდან აიძულეს წასულიყო ქართული დასი. აფხაზეთის მწერალთა კავშირიდან გამოდევნეს ქართველი მწერლები. ნომენკლატურულ თანამდებობებზე დასანიშნად საბოლოოდ პრივილეგირებულნი იყვნენ ისინი, ვისაც ეროვნების გრაფაში აფხაზი ეწერა”. _ წერდა თ. ნადარეიშვილი წიგნში “ შეთქმულება საქართველს წინააღმდეგ”.

ზემოთ ნათქვამი გვარწმუნებს, რომ საფუძველი ეყრება ეთნიკური წმენდის იდეოლოგიას, იგრძნობა აფხაზთა მოქალაქეობრივი უფლებების აღმატებულება

ქართველთა და სხვა ერის წარმომადგენელთა უფლებებზე. ამ პერიოდისათვის აფხაზურმა სეპარატისტულმა იდეოლოგიამ შეიძინა გამოკვეთილად პროფაშისტური ხასიათი, რაც გამოიხატებოდა ყოველივე ქართულის დევნაში, ქართულ ისტორიულ-კულტურული ძეგლების ხელყოფაში და სხვა. ამ პერიოდში გამოვიდა სქელტანიანი კრებული “აფხაზეთი 1937-1952 წწ.”, რომელშიც მკითხველს თავს ახვევდნენ ცრუ აზრს იმის შესახებ, რომ თითქოს აფხაზების რიცხოვრივი შემცირების მიზნით, აფხაზეთში ხდებოდა ქართველთა ჩასახლება საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, სინამდვილეში კი, ადგილი ჰქონდა ჩვეულებრივ პროცესს საცხოვრებელი ადგილის შეცვლისა, ისევე, როგორც მაგალითად, სოხუმის მკვიდრს შეეძლო საცხოვრებლად თბილისში ჩამოსვლა.

60-იანი წლებიდან აფხაზეთის ხელისუფლების და მმართველი ორგანოების მაღალი თანამდებობის პირთაგან ჩამოყალიბდა ექსპრემისტ შეთქმულთა ორგანიზებული რამდენიმე ჯგუფი, რომელთა მიზანსაც საქართველოს რესპუბლიკის სუვერენული უფლებების შეზღუდვა, ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა და საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობიდან აფხაზეთის ძალისმიერი მეთოდებით გამოყოფა შედგენდა. ამ მიზნის განსახორციელებლად და საზოგადოების შეცდომაში შესაყვანად ისინი განზრახ ამახინჯებდნენ და აყალბებდნენ ისტორიულ ფაქტებს, ეწეოდნენ დემაგოგიას, ავრცელებდნენ ისტორიებს, რომელთა მიხედვითაც, თითქოს ქართველები ჩაგრავდნენ და ფიზიკურად ანადგურებდნენ აფხაზებს. “სეპარატისტები ათეული წლების განმავლობაში ამკვიდრებდნენ ქართველებისა და აფხაზების მშვიდობიანი თანაცხოვრების შეუძლებლობის კაცთმომღელე დოქტრინას, სახელმწიფო პოლიტიკად აქციეს ფაშისტური მეთოდებით “თვითგამორკვევის უფლებათა” რეალიზაციისათვის შეიარაღებული ბრძოლა, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ძალადობრივი დარღვევა, დემოგრაფიული ვითარების შეცვლა ეთნიკური ჯგუფების განადგურებითა და განდევნით”. _ წერდა თ. ნადარეიშვილი.

ასე გრემელდებოდა წლების განმავლობაში. აფხაზი სეპარატისტები ჩვეული ცბიერებით ამტკიცებდნენ იმას, თითქოს აფხაზეთი რუსეთის ნაწილი იყო, თითქოს რუსეთს ეკუთვნოდა აფხაზეთის მთელი სიმდიდრე, ჯანმრთელობის ობიექტების ჩათვლით. გამუდმებით მიმდინარეობდა იმ ინფორმაციის ტირაჟირება, თითქოს ქართველები დღენიადაგ ფიზიკურად ანადგურებდნენ აფხაზებს. ისინი ამტკიცებდნენ, თითქოს ქართველები ესწრაფოდნენ აფხაზთა “გაქართველებას”, თითქოს აფხაზეთი არასოდეს ყოფილა საქართველოს შემადგენელი ნაწილი, და რომ იგი მრავალი საუკუნის განმავლობაში დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო იყო.

მათი თავგასულობის უნიკალური მაგალითია ფაქტი, რომელზეც თ. ნადარეიშვილი წერდა: “მათ ინტერნეტში შეიტანეს ცნობა, რომლის მიხედვით თამარ მეფე და დავით აღმაშენებელი აფხაზეთის მეფეებად მოიხსენიებიან, რომლებიც მართლა იყვნენ გაერთიანებული საქართველოს ყველა კუთხის სასიქადულო მმართველები, მაგრამ სეპარატისტთა განმარტებით საქმე იმაშია, რომ თურმე დ. აღმაშენებელი და თამარ მეფე უცნობი “აფხაზეთის”, ჩვენთვის სრულიად არაქართული სახელმწიფოს მეფეები ყოფილან და საქართველოსთან საერთო არაფერი ჰქონიათ. მტერი იყო ნებისმიერი ქართველი, უახლოესი მეზობლის ჩათვლით”. ქართველებს ბრალდებოდათ აფხაზი

ხალხის ყველა უბედურება, ცხოვრების დონის დაცემა, ძირითადი სამომხმარებლო საქონლის ნაკლებობა, თითქოს და ქართველებმა ყველაფერი ხელში ჩაიგდეს, ყველაფერი გაძარცვეს, ისინი აფხაზებს სისხლს სწოვენ და მათ დოვლათს თბილისში ეზიდებიან. “რიგითი ქართველი ბანდიტად, მკვლელად, უღმობელ სადისტად იხატებოდა”. _ წერდა თ. ნადარეიშვილი.

ახლა კი იმის შესახებ, თუ რა სტრატეგიული მიზნები ამოძრავებდა რუსეთს აფხაზეთთან მიმართებაში.

1921 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა და იგი შევიდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. რუს ბოლშევიკებს გამუდმებით ჰქონდათ იმის შიში, რომ ქართველი ხალხი ადრე თუ გვიან დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად ყველაფერს იღონებდა. “დღეს თუ არა ხვალ ქართველები დაიწყებენ ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის. მათთან ბრძოლა აფხაზეთით უნდა დავიწყოთ. სამეგრელოს, სვანეთს, უნდა მიეცეს ავტონომიები. მათში ცალ-ცალკე უნდა გავადვივოთ კუთხურ-ეროვნული გრძნობა. უნდა დავარწმუნოთ ყველა, რომ ქართველები აფხაზეთში ჩამოსახლებულები არიან. დასავლეთ საქართველო უნდა დავუპირისპიროთ აღმოსავლეთ საქართველოს. ამის შემდეგ უნდა შევასრულოთ მომრიგებლის როლი” _ წერდა სსრკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მიხეილ სუსლოვი 1961 წელს საიდუმლო მოხსენებაში.

კრემლი მუდამ “ზრუნავდა” იმაზე, რომ საქართველოში დამაბული და არასტაბილური ვითარება ყოფილიყო. რუსეთმა საქართველოს აქილევსის ქუსლად აფხაზეთი მოიაზრა. ამიტომაც აფხაზეთისა და დანარჩენი საქართველოს ურთიერთობა მოსკოვმა დესტაბილიზაციის “მიზანმიმართულ პოლიტიკას” დაუქვემდებარა.

1991 წლის 9 აპრილს აღდგენილ იქნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. მოვლენების სწორედ ამგვარად განვითარებას განიხილავდნენ წლების წინ. რუსეთის იმპერიის ანალიტიკოსებმა ამიტომაც ახლა გადაწყვიტეს იმ ბერკეტების ამუშავება, რომელიც თავის “მიზანმიმართულ პოლიტიკაში” ჩადეს წლების წინ: ისინი აფხაზებს აქეზებდნენ ქართველების წინააღმდეგ, საქართველოს კი ალუთქვამდნენ გვერდში დგომას, რაც დოკუმენტურად არაერთგზის დასტურდება სხვადასხვა ხელშეკრულებების სახით, მაგრამ არცერთი დოკუმენტის რეალიზაცია არ ამომხდარა და პირობა პირობად რჩებოდა. რუსეთი ცდილობდა ძმათამკვლელი ომი ისე გაეჩაღებინა, რომ თვითონ მშვიდობისმყოფელის სტატუსი შეენარჩუნებინა, რაც ნაწილობრივ მოახერხა კიდეც, თუმცა აფხაზური სეპარატიზმის მიღმა ნათლად იკითხებოდა რუსეთის როლი. ჩნდება ბუნებრივი კითხვა: რატომ არ გააკეთა ქართულმა მხარემ ოფიციალური განცხადება საერთაშორისო ორგანიზაციებში ამის შესახებ? სწორედ ამასთან დაკავშირებით დ. ჯონჯუა წიგნში “წინაპართა კვალდაკვალ” წერს: “ომის პროვოცირების პირველივე დღიდან განაცხადა თ. ნადარეიშვილმა, რომ ყოველივე რუსეთისაგან მომდინარეობდა და საჭირო იყო ამის შესახებ ოფიციალური განცხადების გაკეთება. მაშინ ბევრს მიაჩნდა, რომ კონფლიქტში რუსეთის როლის გამხელა, მის განაწყენებასა და შესაბამისად, უფრო მკაცრ რეაქციას გამოიწვევდა. დღეს

კი ირკვევა, თავის დროზე რომ გაცხადებულიყო რუსეთის მონაწილეობა ამ კონფლიქტში, შესაძლებელია საერთაშორისო თანამეგობრობას სხვაგვარი, ჩვენთვის უფრო ხელსაყრელი გადაწყვეტილებები მიეღო და პრობლემების მოგვარება ასე არ გაწეილიყო”.

არძინბა და მისი თანამზრახველები რუსეთის ინტერესებს სწირავდნენ საკუთარი ხალხის ბედს და მიზნმიმართულად ითრევდნენ ომში საქართველოს წინააღმდეგ. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ყველა აფხაზი არა მტრობდა ქართველებს, იყვნენ მათ შორის საღად მოაზროვნეებიც. ცნობილია არაერთი ფაქტი, როცა ქართველ მეზობელს, ნათესავს თუ ნაცნობს გამოქომაგებული აფხაზიც განუკითხავად დახვრიტეს.

ვლადისლავ არძინბამ, ქართველთა უფლებების შეზღუდვის მიზნით, მიიღო აპართეიდული საარჩევნო კანონი, რომლის თანახმადაც აფხაზეთის მცირერიცხოვანი ამომრჩევლებით დასახლებული აფხაზური ოლქები გაუტოლდა გაცილებით მრავალრიცხოვან, ძირითადად ქართველებით დასახლებულ ოლქებს. ერთსაც და მეორე მხარესაც მხოლოდ თითო დეპუტატის არჩევა შეეძლო, რაც უთანასწორო არჩევნებს აკანონებდა. ამავე პერიოდს, ანუ 1992 წლის ზაფხულს დაემთხვა არძინბას მიერ ჩამოყალიბებული “მონონაციონალური გვარდია”, უმთავრესად კრიმინალური ელემენტებისგან დაკომპლექტებული. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ რუსეთის ბიუჯეტის განსაზღვრული ნაწილი სწორედ ამას მოხმარდა. ენგურზე აფრიალდა მწვანე, მუსლიმანური დროშა, რამაც ფაქტობრივად დააფიქსირა საზღვარი აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის. საქართველოსაგან აფხაზეთის გამოყოფა, აფხაზეთის ძირძველი, ქართველი მოსახლეობის განადგურება ან მათი განდევნა და რუსეთის შემადგენლობაში შესვლა დაისახეს მიზნად სეპარატისტებმა. ამ მიზნის მიღწევის რეალურ საშუალებად, აფხაზეთში საომარ მოქმედებათა პროვოცირება იყო დასახული. სიტუაცია უკიდურესად იძაბებოდა. XX სკ-ის 80-90-იანი წლებში რუსეთის ინიციატივით ჩამოყალიბდა კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის აფხაზური ბატალიონი, ფაშისტური ორგანიზაცია “აიდგილარა”, რომელიც აფხაზურ სეპარატიზმს უფრო აგრესიულს და ბრძოლის უნარიანს ხდიდა. ორგანიზაციას შემდგომ უშუალოდ ზედამხედველობას უწევდა ბლოკი “სოიუზი”, რომლის მიზანიც იყო დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი რესპუბლიკების დასჯა და საბჭოთა კავშირის აღდგენა. ამასთან დაკავშირებით ს. ჩერნოვია წიგნში “აფხაზეთი 92წ. პოსტკომუნისტური საქართველოს ვანდეა” წერდა: “1988-89წ. საბჭოთა კავშირის კომპარტიამ იგრძნო, რომ რეალური საფრთხე ემუქრებოდა მის ყოვლისშემძლეობას, უგულვებელიყო პოლიტიკურის წევრთა ერთი ნაწილის ლიბერალურ-რეფორმატორული მისწრაფებები და რიგი კომუნისტების ნება, დაეყრდნო პარტიული და საბჭოთა აპარატის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ძალისმიერ სამინისტროებს, უწინარეს ყოვლისა “კაგებეს” და შეუდგა “ინტერფრონტების” ორგანიზაციას რესპუბლიკებში, სადაც მასობრივმა ეროვნულმა მოძრაობებმა, ფაქტობრივად, უკვე დღის წესრიგში დააყენეს საკითხი ამ რესპუბლიკების სსრკ-დან გასვლის შესახებ. მზარდი საფრთხის ზონებად კომუნისტურ რეჟიმს, ბუნებრივია, ექცნენ ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, მოლდოვა და საქართველო”.

“აიდგილარას” მოღვაწეობის ორი ძირითადი მიმართულება ჰქონდა:

1. აფხაზეთის მოსახლეობის იდეოლოგიური დამუშავება და ქართველებისგან მტრის ხატის შექმნა.
2. ჩრდილოკავკასიელ თანამზრახველებთან და საბჭოეთის ცენტრთან, ძირითადად კვბსთან ერთად შეიარაღებული ბოევიკების მომზადება;

აქვე საჭიროა, ყურადღება გავამახვილოთ 1989წ. აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებზე, რაც, ფაქტობრივად, სეპარატისტებისა და მათი წამქეზებლის ერთობლივი მოქმედების გენერალურ რეპეტიციად შიძლება ჩაითვალოს. სწორედ ეს იყო პირველი სისხლიანი შეტაკება, რომელმაც გაგრძელება შემდგომ უკვე აფხაზეთის ომში ჰპოვა.

გუდაუთის ტერიტორიაზე სალოცავად ჩასულ საქართველოს კათალიკოსს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის თანმხლებ მრევლს სეპარატისტები, თავს დაესხნენ, რის შემდეგაც 15-16 ივლისს ქ. სოხუმში ქართველებზე განხორციელდა შეიარაღებული თავდასხმა, შედეგად დაიღუპა 17, დაიჭრა 448 ადამიანი.

ქვეყანაში მდგომარეობა, განსაკუთრებულად 1991 წ. დაიძაბა. თბილისში, სამოქალაქო ომის ფონზე, უმძიმესი მდგომარეობა იყო. ამასთან დაკავშირებით აკ. ბაქრაძე წერილში “საქართველოს მოსახლეობავ, ქართველო და არაქართველო” წერს: “ცოდვის კვერი ტრიალებს დღეს თბილისში. უმოწყალოდ იყუჩება ხალხი. დაინგრა და განადგურდა რუსთაველის გამზირი, იწვის და იბუფება ქალაქი. ჯერჯერობით ომის ხანძარი თბილისს არ გასცილებია. საქართველოს პროვინციებს არ მოსდებია. ღმერთმა ნუ ქნას, რომ სამოქალაქო ომის ხანძარი საქართველოს კუთხე-მხარეებშიც აგიზგიზდეს, მაშინ საქართველოს ველარაფერი იხსნის”.

არძინბა კი, კანონსაწინააღმდეგო დადგენილებებს იღებს. აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლიცირებული საჯარო ნაწილების ავტონომიური რესპუბლიკის დაქვემდებარებაში გადასვლის შესახებ, თუმცა ყველასთვის ცნობილია, რომ მსგავსი ქმედება მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა კავშირში შეძავალ რომელიმე რესპუბლიკას შეეძლო და არა რომელიმე ავტონომიურ რესპუბლიკას ან ოლქს. არსებულ ვითარებას თ. ნადარეიშვილი შემდეგნაირად აღწერს: “არძინბას სამართლიან თუ უსამართლო ქმედებებს ვერავინ აკონტროლებს. აფხაზეთის ქართველ მოსახლეობას და უმაღლესი საბჭოს ქართულ დეპუტაციას კი, არანაირი ბერკეტი არ გააჩნია არძინბასთან დასაპირისპირებლად. თბილისში შექმნილი ვითარების გამო, ვერც ქართველი დეპუტაცია და ვერც მოსახლეობა ქვეყნის ხელმძღვანელობისაგან ვერანაირ თანადგომას ვერ ღებულობს. სესიების მუშაობაში კი, არძინბას სამხედრო გვარდია მონაწილეობს, რომელიც იარაღის ძალით ცდილობს ურჩ დეპუტატთა დაყოლიებას და საქართველოსაგან აფხაზეთის იურიდიულ გამოყოფაზე დათანხმებას”.

ამავე წლის 27 სექტემბერს ექტრემისტებს შეაქვთ ცვლილებები კანონში “უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების თაობაზე”, ამ ცვლილებათა აპართეიდულობა გამოიხატებოდა იმაში, რომ 28 საარჩევნო ოლქში, დეპუტატობის კანდიდატად მონაწილეობა, მხოლოდ აფხაზებს შეეძლოთ, 26 ოლქში კი – ქართველებს; შედეგად

ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრები ქართველების, ანუ უმრავლესობის სამოქალაქო უფლებების შეზღუდვა მივიღეთ.

მოვლენებს ამწვავებდა მეტად მნიშვნელოვანი ფაქტიც: 1992წ. 23 ივლისს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მორიგ სხდომაზე, პროცედურული დარღვევებით მიღებულ იქნა დადგენილება “აფხაზეთის ასსრ-ს 1978წ. კონსტიტუციის მოქმედების შეჩერების შესახებ”. ქართველი დეპუტატების წინააღმდეგობის მიუხედავად, უმრავლესობის გადაწყვეტილებით, არძინბას უმაღლესმა საბჭომ ახალი კონსტიტუციის მიღებამდე აღადგინა “აფხაზეთის ასსრ 1925 წლის კონსტიტუციის მოქმედება, რომლის მიხედვითაც, აფხაზეთი ითვლებოდა დამოუკიდებელ რესპუბლიკად და მე-4 მუხლის შესაბამისად “საქართველოსთან ერთიანდებოდა სახელმწიფოებო საფუძველზე”. ასეთივე გადაწყვეტილებით შეიცვალა აფხაზეთის სახელწოდება “აფხაზეთის რესპუბლიკად” და გაჩნდა ეროვნული სიმბოლიკა. (დროშა და ღერბი).

ეს სწორედ ის პერიოდია, როდესაც ემხოზა ზ. გამსახურდიას ხელისუფლება. ხელისუფლება, რომელიც ქართველმა ხალხმა ერთსულოვნად აღიარა, ხელისუფლება, რომელმაც ხალხის ნება ვერ გაამართლა და ხელისუფლება, რომელმაც საკუთარ ხალხს ვერ ააცილა ძმათამკვლელი ომი.

ყველა ფაქტორს ომის დასაწყისთან მივყავდით. ყურადღების გარეშე არ უნდა დარჩეს, საქართველოს უახლეს ისტორიაში მეტად მნიშვნელოვანი თარიღი 1991 წლის 31 ივლისი. დღე, როდესაც მსოფლიოს უდიდესმა სახელმწიფოებმა სცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა, მათ შორის რუსეთმაც. თუმცა იგი ამ პერიოდშიც სხვადასხვა საშუალებით აგულიანებდა სეპარატისტებს საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ საომარ მოქმედებათა დასაწყებად. პარალელურად არც არძინბა იყო უმოქმედოდ. იგი ყველაფერს აკეთებდა სეპარატისტთა არაკანონიერი ფორმირებების შესაიარაღებლად.

1992 წლის 4 აგვისტოს თბილისი საქართველოს გაეროში გაწვრიანებას ზეიმობდა. სახელმწიფო მეთაურის გადაწყვეტილებით, ამ დღეს გამოქვეყნდა “საყოველთაო შერიგების მანიფესტი”, რის საფუძველზეც შევარდნამემ სტუმრად, ზეიმზე არძინბაც მოიწვია, თუმცა იგი თბილისში არ ჩამოსულა.

4-12 აგვისტომდე აფხაზეთის ტერიტორიაზე ექსპრეზიდენტის მომხრეთა საპროტესტო გამოსვლებმა მასიური ხასიათი მიიღო. ამავე დროს, რკინიგზის მაგისტრალის აფხაზეთის მონაკვეთზე კატასტროფულად გახშირდა სატვირთო მატარებლების ძარცვა-ყაჩაღობა, რომელშიც საქართველოს კუთვნილ ტვირთებთან ერთად სომხეთისა და აზერბაიჯანის ტვირთის იყო. ძარაღის ღირებულებამ 12 მილიარდ მანეთს გადააჭარბა.

1992 წლის პირველ ნახევარში აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე თითქმის შეწყდა სარკინიგზო, საავტომობილო და საავიაციო ტრანსპორტის მოძრაობა. საქართველო და მისი მეზობელი ქვეყნები, განსაკუთრებით სომხეთი, ეკონომიკური ბლოკადის წინაშე

აღმოჩნდნენ. უნდა ითქვას, რომ სარკინიგზო ხიდებისა და გზების აფეთქებამ განსაკუთრებით მასიური ხასიათი მიიღო:

კელასური _ დრანდის;

ტამიში _ ოჩამჩირის;

დრანდა _ აძიუჭბას;

ცაცხვი _ ინგირის;

ინგირი _ ზუგდიდის გადასარბენზე.

1992 წლის ზაფხულში, განსაკუთრებით გახშირდა ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირთა მძევლად აყვანა და მათი აფხაზეთში გადაყვანა გადამალვისა და გამოსასყიდლის აღების მიზნით.

სარკინიგზო მაგისტრალზე მარცვის აღსაკვეთად, თავდაცვის მისინისტრის თ. კიტოვანის დაჟინებული თხოვნით, საქართველოს ხელისუფლებამ არძინბასთან შეთანხმებით, მიიღო გადაწყვეტილება აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს შეიარაღებული ძალების 300 კაციანი ჯგუფის გადაადგილების შესახებ. როგორც თ. ნადარეიშვილი აღნიშნავდა სწორედ ამ გადაწყვეტილების მიღებისას შეცდნენ ქართველები: “საქართველოს ხელისუფლებამ ვეღარ გათვალა, რომ არძინბა და მისი რუსი მრჩეველები, სწორედ ახლა უწყობდნენ მას პროვოკაციას და ეცდებოდნენ შეიარაღებული შეტაკებისთვის გამეოყენებინათ ეს ფაქტი. ამით იყო განპირობებული, რომ 14 აგვისტოს დილით ვ.ლ. არძინბა აღფრთოვანებული ელაპარაკა გალის რაიონის მნაშინდელ გამგებელს რუდიკ ცატავას, რომელსაც სთხოვა, ეს შემადგენლობა ოჩამჩირის საზღვრამდე გამოეცილებინა, სადაც თითქოს მას ოჩამჩირის გამგებელი დახვდებოდა. სინამდვილეში, გალი-ოჩამჩირის საზღვარზე სარკინიგზო მაგისტრალის გასაკონტროლებლად გადაადგილებულ საქართველოს სახელმწიფო ჯარის ნაწილს აფხაზური გვარდიისა და პოლიციის ჩასაფრებული მებრძოლები დახვდნენ, მოულოდნელად სროლა აუტეხეს და აბსურდული სკანდალი ატეხეს ქართული ჯარის მიერ, აფხაზეთის დაპყრობის შესახებ”.

1992 წლის 14 აგვისტო _ დღე, როდესაც საქართველო-აფხაზეთის შეთანხმების საფუძველზე, სარკინიგზო მაგისტრალის დასაცავად, ქართული ჯარისა და პოლიციის ნაწილები დასავლეთ საქართველოსკენ, აფხაზეთის მიმართულებით გადაადგილდნენ. აღსანიშნავია, ერთი ფაქტი, ზემოთ აღნიშნული მოვლენა, სხვადასხვა ავტორის მიერ ერთნაირად შეფასდა: “არაორგანიზებულად გადაადგილდებიან”.

პირველი ტყვია და პირველი სისხლი, სწორედ ამ დღეს, ამ თარიღს უკავშირდება. ეს იყო აფხაზეთის ომის დასაწყისი.

არძინბამ, აფხაზეთის მოსახლეობასა და საკუთარ პარლამენტს საქართველო-აფხაზეთის შეთანხმების პირობა _ აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფო ჯარების გადაადგილების შესახებ დაუმალა და ეს ფაქტი “სამამულო ომის” გამოცხადების საბაზად გამოიყენა. ფაქტობრივად, თავად გამოუცხადა ომი საქართველოს, რომლის მთავარი საზრუნავიც დაწყების დღიდან სისასტიკე და ტოტალური დეზინფორმაცია იყო.

იმისთვის, რომ რუსეთში საქართველოსადმი ლოიალურად განწყობილი საზოგადოება შეცდომაში შეეყვანა და ანტიქართული ისტერია გაემძაფრებინა, არძინმას რეჟიმმა 14 აგვისტოს სნაიპერთა მეშვეობით, რუსეთის სამხედრო სანატორიუმებში დამსვენებელთა დახვრეტა დაიწყო, რათა ესეც ქართველებისთვის დაებრალებინათ.

სამხედრო ექსპერტი ირაკლი ალადაშვილი აღნიშნავს: “მე მიმაჩნია, რომ საქართველო ჩათრეულ იქნა ომში, ამას ჩვენც შევუწყეთ ხელი. აღნიშნული აზრის დაფიქსირების საფუძველს მაძლევს ის გვერდითი მოვლენები, რომელიც ემთხვევა ამ პერიოდს. მე იქ ვიყავი და ჩემი თვალთ ვხედავდი, თუ როგორ ცდილობდა რუსეთი მიზნის მიღწევას. მათ იარაღი მოგვცეს, თუმცა იქიდან ათასამდე ტყვიამფრქვევი, ავტომატი აფხაზებს ეკუთვნოდათ და როდესაც 1992 წლის 14 აგვისტოს ჩვენები აფხაზეთში შევიდნენ გუდაუთის სამხედრო ნაწილიდან აფხაზების მიერ მოხდა თავდასხმა. ეს ყველაფერი გაკეთდა იმიტომ, რომ კონფლიქტი დაწყებულიყო”.

მომდევნო მოვლენების განხილვამდე, გავცნოთ აფხაზეთის ეთნოჯგუფთა რაოდენობის ომამდელ სტატისტიკურ მონაცემებს, რათა ომის შემდგომი პერიოდის ანალიზის რეალური საშუალება მოგვცეს. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობა ომამდე 530 ათასს შეადგენდა.

აქედან:

300 ათასი, ანუ 51% - ქართველი.

80 ათასი, ანუ 16% - აფხაზი.

დანარჩენ მოსახლეობას რუსები, სომხები, ბერძნები, ესტონელები შეადგენდნენ.

როგორც აღვნიშნეთ, პირველი ტყვია 1992 წლის 14 აგვისტოს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ოხურეისთან, აფხაზის იარაღიდან გავარდა. აფხაზებმა ომი 2 ბტრ-ით, 1-ბმპ-თი და 1 თვითმფრინავით დაიწყეს. მათ კვალიფიციური არტილერიისტიც კი არ ჰყოლიათ. ერთი თვის შემდეგ კი, შტურმით აიღეს გაგრა. ისინი უამრავი ტანკის, ჰაუბიცისა და ბმპ-ს მფლობელნი აღმოჩნდნენ. გაუჩნდათ “გრადისა” და “იგლას” დანადგარებიც.

ქართველების საომარ აღჭურვილობას სამხედრო ექსპერტი ი. ალადაშვილი ასე აფასებს: “ქართველები საკმაოდ კარგად იყვნენ შეიარაღებულნი. ომის დასაწყისში აფხაზებს, ფაქტობრივად არაფერი არ გააჩნდათ ორი-სამი ჯავშანმანქანის გარდა, თუმცა ამან უპირატესობის საშუალება ნამდვილად არ მოგვცა, რატომ? მოკლედ ვიტყვი _კაბინეტებში წაგებულ ომს ბრძოლის ველზე ვერ მოვიგებდით”.

აფხაზების მხრიდან საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობდნენ: 345-ე საჰაერო-სადესანტო პოლკი; სამხედრო ნაწილი 5482; სამხედრო ნაწილი 3697; სამხედრო-საზღვაო ფლოტის გემები, თვითმფრინავები “სუ-25”, “სუ-27”, ბაზირებული გუდაუთის, როსტოვის მაიკოპის აეროდრომზე.

1992 წლის 14 აგვისტოს გუდაუთაში აფხაზების მიერ უბრძოლველად იქნა განიარაღებული და გამარცვული 643-ე საზენიტო-სარაკეტო პოლკი. მათ მიერ წაღებული იქნა: 984 ავტომატი, 267 პისტოლეტი, 18 ხელის მტყვიამფრქვევი, 66 სასიგნალო რაკეტა, 500-ზე მეტი ხელყუმბარა და ნახევარ მილიონზე მეტი სხვადასხვა კალიბრის ვაზნა, ასევე საავტომობილო ტექნიკა.

აეროდრომის ტექნიკური მომარაგების უფროსმა, პოლკოვნიკმა ა. დოლოგოპოლოვმა ადგილობრივ აფხაზ სეპარატისტებს ქალაქ გუდაუთაში გადასცა ფეხოსანთა 6 საბრძოლო მანქანა, სრული საბრძოლო კომპლექტი. 6 ტყვიამფრქვევი, 367 ხელყუმბარა ფ-1, და 50 000-ზე მეტი სხვადასხვა კალიბრის ვაზნა.

აფხაზები რუსებისგან თანდათან უფრო მნიშვნელოვან დახმარებას ღებულობდნენ. სექტემბრის ბოლოსთვის მათ უკვე ჰქონდათ შეიარაღების ისეთი თანამედროვე საშუალებები, როგორცაა: ახალი ბმპ-ები, ტანკები ტ-72, საარტილერიო დანადგარები ბმ-21, “გრადი”, ჰაესაწინააღმდეგო ტავდაცვის სისტემა “ოსა” და სხვა.

სოფელ ოხურეის შემდეგ, შეტაკება გულრიფშის რაიონში მსხვერპლით დამთავრდა. დაიღუპა სამი პოლიციის თანამშრომელი. ამის შემდეგ ქართულმა საჯარისო ნაწილმა სოხუმში გადაინაცვლა. უიარაღოდ დარჩა აფხაზეთის ქართველი მოსახლეობა, რომელთაც ერთ-ერთი “საკანონმდებლო აქტით” სანადირო თოფები ჩამოართვეს, ხოლო მათ, რომლებმაც არძინბას რეჟიმს სოლიდარობა გამოუცხადეს, როგორც იტყვიან კისრამდე შეაიარაღეს. ქართველები არარორგანიზებულობით გამოირჩეოდნენ, ამის მაგალითად, აფხაზთა ერთ-ერთი ლიდერის ნაამბობიც გამოდგება: “ივნისის თვე იყო. სოხუმიდან რამდენიმე კაცი თბილისში ჩავფრინდით. საშუალება მოგვეცა სახელმწიფო საბჭოს დავსწრებოდით. პრეზიდენტში სახელმწიფოს მეთაური იჯდა. მისი ავტორიტეტის მიმართ დღემდე მოკრძალებული დამოკიდებულება მაქვს. სხდომის დარბაზში შესვლისას სპეციფიკური სუნი ვიგრძენი. წარმოდგენილი საზოგადოება აზრთა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. ისეთი შთაბეჭდილება გრჩებოდა, თითქოს დარბაზში ორ მკაცს ერთი აზრი არ გააჩნდა. შუა სხდომისას ერთი წვეროსანი მშვიდად ადგა, მივიდა პრეზიდენტთან, სახელმწიფო მეთაურის წინ მდგომი “ბორჯომი” დაისხა. იქვე დალია და გარეთ გავიდა. ათი წუთი არ იქნებოდა გასული, იგივე წვეროსანი უკან დაბრუნდა, უკვე გვერდით მდგომი ბოთლიდან დაისხა “ბორჯომი” და მისთვის განკუთვნილი ადგილისკენ თავის ჭიქიანად გაემართა. იმ დღეს მივხვდი ომი, რომელიც ჯერ არ დაწყებულიყო, უკვე მოგებული გვექონდა”.

საქართველოს წინააღმდეგ იბრძოდნენ კარგად გაწვრთნილი და შეიარაღებული სამხედრო შენაერთები. ოკუპანტთა უმრავლესობა რუსეთის მოქალაქე იყო: ჩეჩნები, ადიღელები, ყაბარდოელები, რუსები, თათრები.

აფხაზეთში 1993 წლის მარტის პირველ რიცხვებში სომხური ორგანიზაციების „კრინკისა“ და „მაშტოცის“ ინიციატივით შეიქმნა მარშალ ბაგრამიანის სახელობის ბატალიონი, რომელიც გამოირჩეოდა განსაკუთრებული სისასტიკით და აქტიურად მონაწილეობდა ქართველთა გენოციდში.

თავდაპირველად შეიქმნა 53 კაციანი მოიერიშე რაზმი, შემდეგ ბატალიონის მებრძოლთა რაოდენობა 500 კაცამდე გაიზარდა

ბატალიონის მეთაური იყო ვაგარშაკ არამის ძე კისიანი.

ბატალიონი მონაწილეობდა ყველა მნიშვნელოვან საბრძოლო ოპერაციაში, მათ შორის კოდორის ხეობაში.

საომარ მოქმედებებში მონაწილეობდნენ “ზოევიკები” სირიიდან, იორდანიიდან, თურქეთიდან, დეპსისპირეთიდან, ყარაბაღიდან. გარდა ამისა, საქართველოს წინააღმდეგ იბრძოდა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს 345-ე სადესანტო პოლკი, გუდაუთაში დისლოცირებული სამხედრო-საჰაერო ძალების ესკადრილია, ოჩამჩირესა და გუმისთაზე დისლოცირებული რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ბატალიონები. ბრძოლების დროს მოწინააღმდეგეს ეხმარებოდნენ სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდები და 1992 წლის 22 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე რუსეთის სამხედრო ხომალდები “ბეზუკარიზნენი”, “კილ-25”, “დონი” _ზღვიდან ახორციელებდა საბრძოლო მოქმედებებს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს ომის დასაწყისში არ ჰყოლია რეგულარული სამხედრო შენაერთები და ბრძოლაში მონაწილეობას ირებდნენ ძირითადად მოხალისეები - ასეთი ძალის წინააღმდეგ ომი მათთვის ადვილი არ იყო.

მას შემდეგ, რაც ქართულმა მხარემ სრული კონტროლი დაამყარა გაგრაში, სოხუმსა და ოჩამჩირეში. მტერმა შეტევა გაგრის მიმართულელებით წამოიწყო. ბრძოლები კოლხიდის, ბაზიფის, ალახაძის მისადგომებთან მიმდინარეობდა. ქართულმა მხარემ შეძლო გაგრის დაცვა, მაგრამ ძალით, რომ ვერაფერს გახდა ხერხს მიმართა. 1992 წლის 3 სექტემბერს მოსკოვში, რუსეთის ინიციატივით, ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკების ხელმძღვანელთა მონაწილეობით, ხელი მოეწერა შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტისა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ. ხელშეკრულების შესრულების გარანტიად რუსეთი სახელდებოდა.

შეთანხმების საფუძველზე გაგრიდან გაყვანილ იქნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფები. ქალაქში მხოლოდ მშვიდობიანი მოსახლეობა დარჩა, მაგრამ მტერმა შეთანხმება დაარღვია და 1992 წლის 1 ოქტომბერს ქალაქი დაეცა.

ამავე წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში პერიოდულად იბომბებოდა ქ. სოხუმი. რუსები უარყოფდნენ ამ აქციაში მონაწილეობას, მაგრამ საინტერესოა არძინბას რეჟიმს საიდან ჰყავდა “სუ-25” და “სუ-27” ტიპის თვითმფრინავები. ამ ფაქტს ადასტურებდა 1993 წლის 19 მარტს სოხუმში ჩამოგებული თვითმფრინავი “სუ-27”¹¹ მფრინავის საბუთებში (მაიორ ვაცლავ ალექსანდრეს ძე შიპკო) ჩანდა, რომ 19 მარტს ის მივლინებული იყო ქალაქ გიდაუთაში, ბომბორას აეროდრომზე, კუშევსკაიდან (როსტოვის ოლქი) საბრძოლო დავალების მისაღებად.

გაგრის ოკუპაციის შემდეგ, აფხაზი სეპარატისტები მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვასა და წამებას შეუდგნენ. თვითმხილველთა ჩვენებით 6 ოქტომბერს დაბა ლესელიძეში აფხაზმა სეპარატისტებმა აწამეს და ელექტრო ბომბზე ჩამოახრჩეს 50 ქართველი.

ქალაქის სტადიონზე და მასობრივი შეკრების ადგილებში ჯგუფურად დახვრიტეს ქართველები, შემდეგ კი, გვამებს თავები მოკვეთეს.

ქართველების მიერ ტყვედ აყვანილი არძინბას მრჩევლის მიხეილ დემიანოვის ინფორმაციით გაგრაში ქართველთა წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურობდა შამილ ბასაევი. ქართველი ქალების გაუპატიურებაში ზადალი არ ჰყავდა გენერალ არშბას. მისივე თქმით იგი იყო თვითმხილველი თუ როგორ შეყარეს გაგრის სტადიონზე ათასამდე ქართველი და უკლებლივ ყველა დახვრიტეს.

დაფიქსირებულია მშვიდობიან მოსახლეთა ხოცვა-ჟლეტის სადისტური მეთოდები, რასაც საქართველოს პროკურატურამ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურასთან ერთად გენოციდის შეფასება მისცა.

გაგრაში ცოცხლად დარჩენილმა 17 ათასმა ქართველმა უპირობოდ დატოვა თავისი სახლ-კარი, ავლა-დიდება და გადაიხვეწა. თვეების მანძილზე იბომბებოდა სოხუმი და ოჩამჩირე. მარტო სოხუმში ათიათასობით ბომბი ჩამოაგდეს. დაბომბვა ხდებოდა ღამით, როცა ქალაქს ეძინა. ძირითადად საცხოვრებელი პუნქტები, ამას 400-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე შეეწირა.

მსგავსი ქმედება განხორციელდა 1993 წლის 16 მარტს ქალაქ სოხუმში, როდესაც მოწინააღმდეგეებმა შემოტევა ღამის 2 საათზე დაიწყეს. ეს სერიოზულად მომზადებული შტურმი იყო. შუა ღამით მდინარე გუმისთაზე განლაგებული ქართული მხარის პოზიციებისა და ქალაქ სოხუმის საარტილერიო დაბომბვა დაიწყო. სოხუმის თავზე, ერთდროულად “სუ-25” ტიპის რამდენიმე მოიერიშე თვითმფრინავი გამოჩნდა. მათ მანათობელი რაკეტები გადმოყარეს და მეთოდურად დაბომბეს ქართველების პოზიციები. საცხოვრებელი სახლების ბომბვა მთელი ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა. მოწინააღმდეგე იყენებდა ჰაუბიცებს, ქვემეხებს, ნაღმსატყორცნებს, თანამედროვე თვითმავალ მსხილკალიბრიან დანადგარებს – “აკაციასა” და “ნონას”, რომლებიც აფხაზურ ფორმირებებს შეიარაღებაში არ ჰქონდათ. დაბომბვაში მონაწილეობას იღებდა, როგორც არტილერია, ისე ავიაცია. “ამჟამად შესამჩნევი იყო რუსეთის თვითმფრინავების სიჭარბე. გამთენიისას მტრის დიდი რაღვენობის ცოცხალი ძალა მტელ ხაზზე შეტევაზე” – წერდა თ. ნადარეიშვილი.

მდინარე გუმისთაზე, რუსეთის ფედერაციის სპეცდანიშნულების ქვედანაყოფები გადმოვიდნენ და ხელში ჩაიგდეს სოფელი აჩადარას მნიშვნელოვანი ნაწილი.

მიუხედავად მასიური დაბომბვისა, ამჟამად იგრძნობოდა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები, ქართული არტილერია და ჯარიკაცები. მტრის სავარაუდო შემოტევას მომზადებულნი დახვდნენ და მათ ცოცხალ ძალას სერიოზული დარტყმა მიაყენეს. 16 მარტს, გამთენიისას განხორციელდა კონტრშეტევა და ქართველმა მეზღოლებმა ფრონტის ხაზი მთლიანად აღადგინეს.

17 მარტს, ღამით რუსეთის სამხედრო თვითმფრინავებმა კვლავ რამდენჯერმე დაბომბეს ქალაქი. გვიან ღამის, მტრის მიერ კიდევ იყო მცდელობა შეტევის განმეორებისა, მაგრამ მათ მდინარე გუმისთა ვერ გადმოლახეს.

მარტის შეტევის მოგერიება, ბუნებრივია, განპირობებული იყო სათანადო შეიარაღებით, საარმიო კორპუსის, ცალკეული სამხედრო შტაბების, დივიზიონების სამხედრო ხელმძღვანელობის პროფესიონალიზმით, ასევე რიგირთი ქართველი ჯარისკაცების თავდადებით.

ამ მარცხმა დიდი არეულობა შეიტანა სეპარატისტთა ბანაკში; სწორედ ეს იყო ყველაზე ხელსაყრელი დრო ქართველებისთვის კონტრშეტევაზე გადასავლელად, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ, კვლავ სამშვიდობო მოლაპარაკების წარმოება არჩია და რუსეთს კონფლიქტის ზონიდან ჯარების გაყვანა სთხოვა. საქართველომ საქმის კურსში გაერო, ევროპარლამენტი, მსოფლიო ქვეყნების პარლამენტები ჩააყენა, მაგრამ აღნიშნულ განცხადებას რეზონანსი არ მოჰყოლია.

მიუხედავად საქართველოს ხელისუფლების ხანგრძლივი მოწოდებისა საომარი მოქმედებების შეწყვეტის შესახებ, სეპარატისტები არ თმობდნენ პოზიციებს, ხოლო რუსეთი აფხაზების ტყვია-წამლით მომარაგებას განაგრძობდა.

ქართველებმა 1 მაისს რუსების კიდევ ერთი თვითმფრინავი “სუ-27” გაანადგურეს, ხოლო 26 მაისს გულრიფშის რაიონის სოფელ საკენთან ჩამოაგდეს რუსეთის ვერტმფრენი “მი-6”, რომელსაც იარაღი გუდაუთიდან ტყვარჩელში გადაჰქონდა. მიუხედავად ამ ფაქტებისა, რუსეთი მაინც ჯიუტად არ აღიარებდა იმას, რომ მისი რეგულარული სამხედრო ნაწილები მონაწილეობას იღებდნენ აფხაზეთის ომში სეპარატისტთა მხარეზე.

მოწინააღმდეგის დაუნდობლობის პარალელურად ქართული მხარე მტრისადმი მიამიტურ ნდობას იჩენს და ტყვარჩელში, ივნისის ბოლოს ჰუმანიტარული დახმარების სახელით –ტყვია-წამალით დატვირთულ მანქანას ყოველგვარი შემოწმების გარეშე უშვებს.

სეპარატისტებმა 2 ივლისს, ტამიშში საზღვაო დესანტი გადმოსხეს; ივლისის პირველ დღეებში, სოხუმის რაიონში დაგეგმილი შეტევით მტერი საბოლოო გამარჯვებას ესწრაფოდა, მაგრამ იმედები არ გაუმართლდა.

ამ დროს, ქართულ საგუშაგოებზე განლაგებული იყო ბატალიონები: “ქაქუცა ჩოლოყაშვილი”, “ავაზა”, ასევე “დუშეთის, კოჯრის, სოხუმის “თეთრი არწივის”, ახალციხის ბატალიონები, რომლებიც სეპარატისტებს წინააღმდეგობას უწევდნენ. საბრძოლო ოპერაციები ქართველებისთვის წარმატებით მიმდინარეობდა. 4 ივლისს სოხუმის რაიონის სოფელ შრომასთან ქართველმა არტილერისტებმა ჩამოაგდეს რუსეთის ავიაციის ვერტმფრენი, რომელიც დესანტის ჩამოსხმას ცდილობდა. ამით გამწარებულმა რუსეთის “სპეცდანიშნულების რაზმებმა”, სეპარასიტებმა და

დაქირავებულმა “ზოფიკებმა” იმ დღეებში სოხუმის რაიონის რამდენიმე სოფელი აიღეს, მათ შორის კამანი. ქართველების მსხვერპლი საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო.

ვითარების გამწვავებამ, საომარი მოქმედებებით გამოწვეულმა მსხვერპლმა, რუსებთან და აფხაზებთან ახალი მოლაპარაკების აუცილებლობა განაპირობა.

1993 წლის 14 მაისს მოსკოვში დაიდო ხელშეკრულება მხარეებს შორის ცეცხლის შეწყვერის შესახებ, რომლის უტყუარობაც ედუარდ შევარდნაძემ და ბორის ელცინმა ხელმოწერით დაადასტურეს. ხელშეკრულება ძალაში 20 მაისს შედიოდა.

ქართულმა მხარემ ძველი ხელშეკრულებების მსგავსად ესეც პირნათლად შეასრულა. მოწინააღმდეგემ კი, კვლავ ვერაგულად ისარგებლა სიტუაციით და 2 ივლისს ტამიშთან 300 კაციანი დესანტი გადმოსხა.

ცრუ დაპირებების სერია კვლავ გრძელდებოდა და 27 ივლისს, რუსეთის შუამავლობით სოჭში, ხელი მოაწერეს შეთანხმებას “აფხაზეთში ცეცხლი შეწყვეტისა და მასზე კონტროლის მექანიზმის შესახებ”. აღნიშნული შეთანხმება მხარეთა სრულ განიარაღებასაც ითვალისწინებდა. ამასთან დაკავშირებით თენგიზ სიგუა ამბობდა: “შევარდნაძის თავგამოდებული მომხრეებიც კი ხვდებოდნენ, რომ ეს ხელშეკრულება აფხაზეთისთვის დამღუპველი იქნებოდა. ამ დღეს შევადნაძემ ყოველი მოქმედება, ყოველი სიტყვა, ყოველი შესაძლო შედეგი საკუთარ თავზე აიღო – მენდეთ და შედეგებზე პასუხს მე ვაგებო”.

ამ დროს, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოში საკადრო ცვლილებები ჩატარდა და თავმჯდომარის პოსტზე ნადარეიშვილის შემცვლელად დაინიშნა ჟიული შარტავა.

ქართულ-აფხაზური ომის გამწვავებასთან ერთად გააქტიურდნენ ზვიად გამსახურდიას მომხრენი. 28 აგვისტოს ლოთი ქობალიას შეიარაღებულმა რაზმებმა აიღეს სენაკი და აბაშა. 7 სექტემბერს ჩაატარეს სამხედრო ოპერაცია გალის რაიონში. 15 სექტემბერს კი გურიამი შევიდნენ.

16 სექტემბერს სეპარატისტებმა განაიარაღებული სოხუმის მასობრივი დაბომბვები დაიწყეს. ქალაქში ქალები და ბავშვების იყვნენ. ის აფხაზური არტილერია, რომელიც შეთანხმების თანახმად გაყვანილი უნდა ყოფილიყო, მთელი ძალით ამოქმედდა.

ქართველები კვლავაც მოტყუებულნი დარჩნენ, სოხუმი ფაქტობრივად, დაუცველი დარჩა. ედუარდ შევარდნაძე და ჟიული შარტავა გაოგნებულნი იყვნენ და ამ მოვლენათა მართვას უკვე ვეღარ ახერხებდნენ.

მტერი განსაკუთრებული სისტიკით სოხუმის აეროპორტს ბომბავდა, ყოველდღიურად ილუპებოდა 50-ზე მეტი მოხუცი, ქალი თუ მცირეწლოვანი.

ქართული მხარე არტილერიის, მძიმე ტექნიკისა და ტყვია-წამლის ნაკლებობას განიცდიდა. ამ დროს, რუსეთის სპეცდანიშნულებისა და კონფედერანტთა რაზმებმა

მდინარე გუმისთა გადმოლახეს. სეპარატისტები არტილერიას და სამხედრო თვითმფრინავებს იყენებდნენ სოხუმისა და ოჩამჩირის დასაბომბად.

საზარელი ვითარება იყო. ქალები და ბავშვები დაუყოვნებლივ საჭიროებდნენ გახიზვნას. ფრონტის ხაზზე მყოფი ქართველი მეზობლები ვაჟკაცობის წარმოდგენელ მაგალითს იძლეოდნენ.

17 სექტემბერს საქართველოს სახელმწიფო მეთაური ადლერში შეხვდა რუსეთის თავდაცვის მინისტრს პავლე გრაჩოვს, მაგრამ აფხაზთა შტურმის შეჩერება შეუძლებელი გახდა.

18 სექტემბერს გვიან ღამით ედუარდ შევარდნაძემ გაავრცელა მიმართვა სხვადასხვა ქვეყნისა და გაეროს ხელმძღვანელობის სახელზე, რათა საქართველოსთვის დახმარება აღმოეჩინათ მაგრამ ამაოდ.

სიტუაციას განსაკუთრებით მძაზვდა ესქპრეზიდენტ ზ. გამსახურდიას მომხრეთა აგრესიული დაპირისპირება ხელისუფლებასთან.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ ქვეყნისთვის უმძიმეს სიტუაციაში საქართველოს ტელევიზიით კონცერტები და გასართობი პროგრამები გადაიცემოდა, ხოლო მიმდინარე მოვლენათა ასახვის დროს ჟურნალისტები ძირითადად ქართველთა მიერ ჩადენილი ძარცვა-ლაცხლობის ფაქტებით ინტერესდებოდნენ.

აუაზრებელი სამხედრო აქცია, რომელიც სისხლისმღვრელ ომში გადაიზარდა, ლოგიკური დასასრულისკენ მიდიოდა: ღალატი, მძიმე, შეუსრულებელი ხელშეკრულებები, უნიათობა, ქართველთა გათიშულობა და შუღლი, საზოგადოების დიდი ნაწილის ინდიფერენტულობა, პროფესიულად მომზადებული სამხედრო კადრების დეფიციტი, მაროდორობა და კიდევ მარავალი ნეგატიური მოვლენა ტრაგიკული ფინალის გარდაუვალობაზე მეტყველებდა.

1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა. სოხუმის დაცემას კი მთელი აფხაზეთის დაცემა მოჰყვა. სეპარატისტები სასტიკად გაუსწორდნენ ამ დღეს შეპყრობილ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ჟიული შარტავას და მის თანამებრძოლებს.

აქედან დაიწყო მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის თუ თანამდებობის პირთა უსასტიკესი ხოცვა-წამება. ქართველებისადმი ზიზღისა და დაუნდობლობის უტყუარ სიმბოლოდ შეიძლება დასახელდეს წარწერა სამკლავურზე: “Смерть грузинам”. ასეთ სამკლავურს ამაყად ატარებდნენ აფხაზი სეპარატისტები.

სოხუმის დაპყრობის შემდეგ, სეპარატისტებმა წამებით მოკლეს ათასზე მეტი ქართველი. მათ შორის მოხუცები, ინვალიდები, ქალები, ბავშვები. სოხუმში, კუჩენკოს სახელობის პარკში 400-ზე მეტი მშვიდობიანი მოსახლე დახვრიტეს. სოხუმელები _ როინ შუბლაძე და გურამ კვაშილავა სეპარატისტებმა საკუთარ ბინაში ავტომატის ჯერით

დაცხრილეს, შემდეგ ორივეს მკლავებსა და ფეხებზე ააჭრეს ხორცი. როინ შუბლამის თავზარდაცემული მეუღლის კითხვაზე, რატომ ჩაიდინეს ასეთი ბარბაროსობა, უპასუხეს: “თუ აფხაზეთს არ დაატოვებთ, ყველა ქართველს ასე გავუსწორებთ”.

აფხაზეთში გენოციდი ეტაპობრივად განვითარდა:

1992 წლის 14 აგვისტოდან ამავე წლის 2 ოქტომბრამდე გუდაუთაში;

2 ოქტომბრიდან 1993 წლის 16 სექტემბრამდე გაგრაში;

16 სექტემბრის შემდეგ კი სოხუმის, ოჩამჩირის, გალის, ტყვარჩელის რაიონებში.

66 წლის პედაგოგი ვასილ სამხარაძე ქუჩაში შეიპყრეს და საჯაროდ მოჰკვეთეს თავი. ჭირისუფლებს მისი დაკრძალვის უფლება არ მისცეს და ქუჩაში ძაღლებს დაუგდეს საჯიჯგნად.

შოთა მგელაძე მთელი ღამე შიშველი, მუხლამდე წყალში ჰყავდათ ჩაყენებული, შემდეგ კი, ჩეჩენმა ბოევიკმა დანით დაჭრა, მისი სისხლით აავსო ჭიქა და შესთავაზა დაეღია, რადესაც უარი მიიღო, სისხლი თვითონ დალია, შემდეგ კი ცინიკურად მოუბოდიშა: “ძმაო, არ გეწყობოს, მე შენს სიხლს კა არა, ქართველების სისხლს ვსვამო”.

გაგრაში, აფხაზეთმა საავადმყოფოში მიიტანეს შუაზე ხერხით გადაჭრილი ქართველი გოგონას გვამი წერილით, სადაც რუსულად ეწერა: როგორც ამ გოგონას სხეულს ვერ გამთელებთ, ისე ვერ გააერთიანებთ საქართველოსა და აფხაზეთსო”.

დახოცილი ქართველების რაოდენობამ კატასტროფულ რიცხვს მიაღწია. აფხაზეთის ტერიტორიაზე მოკლულია 5 738 ქართველი:

აქედან:

გაგრაში _ 483

სოხუმში _ 238

გულრიფშის რაიონში _ 1232

ოჩამჩირეში _ 851

გალში _ 1553

გუდაუთაში _ 147

ტყვარჩელში _ 20

აფხაზეთში განხორციელებულ გენოციდსა და ეთნიკურ წმენდას შეეწირა უამრავი ბავშვი და ქალი. მოკლულთა 50%-ზე მეტი იყვნენ მოხუცები. საკუთარ ქვეყანაში ლტოლვილად იქცა 280 000 ქართველი.

აფხაზეთში მიზანმიმართულად და დაუნდობლად განადგურდა და კვლავაც ნადგურდება ყველაფერი ქართული. ქართული წიგნებით დაწყებული და კულტურული თუ ისტორიული ძეგლებით დამთავრებული.

აი, ასეთი მწარე რელობის წინაშე დადგა, დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარი, დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობის სურვილით შეპყრობილი საქართველო. მიუხედავად იმისა, რომ წლების წინ მთელმა მსოფლიომ გააცნობიერა აფხაზეთში მომხდარი ტრაგედიის არსი, სურათი კვლავაც უცვლელი რჩება.

აფხაზეთის ომში ჩვენი დამარცხება ბევრმა ფაქტორმა განაპირობა: ქართველებისთვის ყველაზე მძიმე, ხოლო მტრისათვის მეტად მომგებიანი ის იყო, რომ საქართველო ორ დაპირისპირებულ ბანაკს წარმოადგენდა. მომაკვდინებელი იყო ის ინდიფერენტული, გულგრილი დამოკიდებულება, რაც ქართული საზოგადოების დიდ ნაწილს გააჩნდა აფხაზეთში მიმდინერა მოვლენებთან მიმართებაში: “მთელ საქართველოში ისეთი ატმოსფერო სუფევდა, თითქოს აფხაზეთი აფრიკაში იყო და არა ჩვენში” – წერდა აკ. ბაქრაძე.

სიტუაციისთვის შესაფერისი აქტივობით ვერ ან არ მუშაობდა სადაზვერვო სამსახურები. ომის წაგების კიდევ ერთ მიზეზად შეიძლება დასახელდეს ის, რომ საჯაროდ დროულად არ დავაფიქსირეთ ფაქობრივი მოწინააღმდეგე.

აფხაზების მსგავსად ჩვენ ვერ შევქმენით მოკავშირეთა ე.წ. “როქის სპა”, რაც ჩრდილოეთ კავკასიელთა, სომეხთა, კაზაკთა და სხვათა სახით ჰყავდათ აფხაზებს. ქართველთა რიგებში ვერ აღვკვეთეთ მაროდორობა საკუთარ მოსახლეობაში – რაც ერთი ორად ართულებდა ვითარებას. საქართველოს ტელევიზიის მუშაკთა არაპროფესიონალიზმი და წინდაუხედაობა იქამდე მივიდა, რომ გადაცემებში ხშირად გადიოდა ინფორმაცია ქართველთა საჯარისო ფორმირებების დისლოკაციის ადგილების, შეიარაღებისა და გადაადგილების შესახებ. ამიტომაც, აფხაზეთში დამარცხების ერთ-ერთ მიზეზად უნდა დასახელდეს ქართული ტელეარხების ამგვარი უნიათობა და ის გამოუსწორებელი ზიანი, რაც პიწმინდად წაგებულმა საინფორმაციო ომმა მოუტანა საქართველოს. ყველაზე აქტუალური პრობლემა კი, რომელიც დღიდან აფხაზეთის დაკარგვისა ახლაც არსებობს არის იმ კონკრეტული გეგმის არ ქონა, რაც აფხაზეთის დაბრუნების გარანტად უნდა იქცეს.

და ბოლოს, ციტატა აკ. ბაქრაძის ინტერვიუდან: “აფხაზეთის დაბრუნების ერთადერთი გზა არსებობს - ეს არის ბრძოლა. ომით წართმეული ომითვე უნდა დავიბრუნოთ. სხვა გზა, სხვა საშუალება ისტორიამ არ იცის. ჩვენ არამართო ტერიტორია უნდა დავიბრუნოთ, არამედ ღირსებაც. ჩვენ დღეს დამარცხებული და უღირსებო ხალხი ვართ... ღირსების აღდგენა კი, ომში გამარჯვებით შეიძლება”.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თ. ნადარეიშვილი “შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ”
2. თ. მოლაშვილი “აფხაზეთი _ დრამატულ დღეთა ქრონიკა” _2000წ.
3. დ. ჯონჯუა “წინაპართა კვალდაკვალ” _2003წ.
4. აკ.ბაქრაძე “აფხაზეთისთვის” 2002წ.
5. გაზეთი “ფაქტი, აზრი, კომენტარი” _1995წ. 15 ივლისი #3 (32)
6. საქართველოს გენერალური პროკურატურისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის დასკვნა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ქართველი მოსახლეობის გენოციდის ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილ გარემოებათა შესახებ (1992-1999 წწ.)